# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 12 მარტი, 2013 წელი.

№45 (7172)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


**მერაბ ბერძენიშვილი:**

# ნიურნბერგის პროცესზე კოჰაბიტაციაზე არ ყოფილა საუბარი, იქ დამნაშავეებს სჯიდნენ!..



„კოჰაბიტაცია" – ამ სიტყვის თქმა მარტივად, ენის გაუტეხავადაც შეიძლება, ის „თანაცხოვრებას", „„თანამშრომლობას" ნიშნავს. რატომღაც არ მახსოვს, სიტყვა „კოჰაბიტაცია" ვინმეს წამოსცდენოდეს წინა ხელისუფლების დროს, როცა დღევანდელი ხელისუფალნი ოპოზიციაში იყვნენ. სურვილი, რომელსაც ჩვენი დასავლელი მეგობრები იჩენენ და, დემოკრატიის სახელით, „კოჰაბიტაციას" გვირჩევენ, რბილად რომ ვთქვა, ღიმილის მომგვრელია. ეს მაშინ არის შესაძლებელი, როცა შენს მოწინააღმდეგეს სხვა მოსაზრება, პოზიცია აქვს, მაგრამ სამშობლოს გულწრფელი სიყვარული სხვაზე არანაკლებად გააჩნია. დღევანდელ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციას ეს გრძნობა არ აქვს, იგი ვერაგი მტერია თავისი ხალხისა. ეს ეგრეთ წოდებული ოპოზიციონერები წლების მანძილზე ანადგურებდნენ ქართულ ღირსებას და ახლაც ისე იქცევიან, რომ თავი კვლავ ხელისუფლებაში ჰგონიათ – თავხედურად „გვასწავლიან" ქვეყნის განვითარების გზებს.

იხ. 2 გვ.

# მნიშვნელოვანი დოკუმენტი

## საინსტიტუტო მეცნიერების რეფორმის კონცეფციის შესახებ

განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კომისიის მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია საინსტიტუტო მეცნიერების რეფორმისა (გია დვალი, ზაალ კოკაია, ვაჟა ბერეჟიანი, დავით ლორთქიფანიძე), რომლის მიზანია „მეცნიერული კვლევის მოწყობისა და ამ მოწყობაზე გადასვლის პრინციპების შემუშავება", მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ამის საფუძველზე შესაძლებელია დღეისათვის ამ სფეროში შექმნილი რთული სიტუაციის გამოსწორება და ჩვენი განათლებისა და მეცნიერების საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში უფრო მეტად ჩართვა.

ნიშანდობლივია, რომ წარმოდგენილი კონცეფცია მოწონებულ იქნა ჩვენი პრემიერ-მინისტრის ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის მიერ, რომელმაც დაავალა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმის დაუყოვნებელი დაწყება.



„კონცეფციის" ავტორები აღნიშნავენ, რომ მსგავსი რეფორმა ვერ განხორციელდება „აკადემიური თავისუფლების" უზრუნველყოფის გარეშე; ჩვენ დავუმატებდით – აგრეთვე სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე, რაც მეტად მწვავე პრობლემაა არა მხოლოდ ჩვენში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ამასთანავე, გასათვალისწინებელია სხვაობები საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემებში სხვადასხვა ქვეყნებისდა მიხედვით.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წარმოდგენილ „კონცეფციაში" დებულება „გარეშე მიუკერძოებელი შემრჩევი კომიტეტის" შესახებ, რომელიც „მოახდენს სიცოცხლისუნარიანი ერთეულების გამოვლენას, მეცნიერული თვალსაზრისით შეაფასებს მათი ოპტიმალური მოწყობის სქემებს და თავის დასკვნებს წარუდგენს მთავრობას"... ამგვარი „კომიტეტის" აუცილებელი პირობაა, რომ ის იყოს დაკომპლექტებული მსოფლიო დონის წამყვანი მოქმედი მეცნიერებით და მათ მიერ შექმნილი დარგობრივი ქვეკომიტეტებით; ის უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი სხვა ორგანოებისგან. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კომიტეტის მუშაობის ტექნიკური მომსახურება სპეციალურად ამ მიზნებისთვის მობილიზებული ადმინისტრაციული აპარატით".

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც „საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი", გამოთქვამს მზადყოფნას, აღმოუჩინოს დახმარება „კომისიას" და აქტიური მონაწილეობა მიიღოს დასახული რეფორმების განხორციელებაში.

როგორც ცნობილია, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია" დაკომპლექტებულია ძირითადად მსოფლიო დონის ქართველი და უცხოელი წევრებით (მათ შორის არიან „ნობელის პრემიის" ლაურეატებიც), რომლებიც დიდ პატივად მიიჩნევენ ჩვენს „მეცნიერებათა აკადემიაში" გაწევრებას და მზად არიან ითანამშრომლონ ქართველ მეცნიერებთან.


აკადემიკოსი

**თამაზ გამყრელიძე,**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.


# ნაციონალებს 19 აპრილის გეგმა ჩაეშალათ

3

# ნაცმოძრაობა: პოლიტიკური პარტია თუ ბანდა?

5

# საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს უმცირესობის რამდენიმე წევრიც დაუჭერს

4

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

როცა ოპოზიცია ვერაგი მტერია

# ნიურნბერგის პროცესზე კოჰაბიტაციაზე არ ყოფილა საუბარი, იქ დამნაშავეებს სჯიდნენ!..



(პირველი გვერდიდან)

ადამიანები, რომლებმაც დაანგრიეს ქვეყანა, წლების მანძილზე ტანჯეს საკუთარი ხალხი, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული მიწები გაყიდეს, დღესაც იცავენ ამ დანაშაულს. განა შეიძლება ასეთ ადამიანებთან „კოჰაბიტაცია"? ჩვენს დასავლელ მეგობრებს უნდა გავახსენო ნიურნბერგის პროცესი. იქ კოჰაბიტაციაზე არ ყოფილა საუბარი, იქ დამნაშავეებს სჯიდნენ.

ჩვენს არჩეულ უმრავლესობას, დეპუტატებს, გახსოვდეთ, რომ წლების მანძილზე გატანჯული ხალხი თქვენგან უშეცდომოდ მოქმედებას ითხოვს!

პრესაში გამოქვეყნებული წერილები თუ ტელევიზიის ეკრანიდან ანალიტიკური საუბრები ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე, მის მომავალზე, უყურადღებოდ არ უნდა რჩებოდეს. ნუ გავიმეორებთ იმას, რაც იყო (წერე და იკითხე. SIC!). მეცნიერთა, მწერალთა, ექსპერტთა, პარტიების ლიდერთა, თუ ჟურნალისტთა საუბრებში გამოცდილება და ინტუიცია ხშირ შემთხვევაში წინ უსწრებს მოვლენებს. ამიტომაა საინტერესო იგი. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების" თავის დროზე გაუცნობიერებამ მწარე შედეგი გამოიღო. ჭაბუა ამირეჯიბის შეგონება: „ფრთხილად, ქართველებო, ჩვენ ობოლი ერი ვართ", გაფრთხილებაა და ყურად საღებია!

„მონას ბატონის გამოცვლა თავისუფლება ეგონაო." ეს გამოთქმა წინა ხელისუფლებამ განამტკიცა. დაივიწყა ილიას მარადიული სიტყვები „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო", და რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს, დეპუტატთა უმრავლესობის სიამტკბილობით არსებობა, ანუ კოჰაბიტაცია უმცირესობასთან, ამ იდეისათვის არაფრის მომტანია, პირიქით, ამ პროცესს ხელს შეუშლის. თუმცა უმცირესობაში არიან ჭეშმარიტი პატრიოტი მამულიშვილები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეს, რომ ცდებიან. დღევანდელი უმცირესობა ხომ ის უხეში ძალაა, რომელიც ცოტა ხნის წინათ ადამიანის ღირსებას თელავდა და ანადგურებდა. ხომ დარწმუნდით თქვენც და საზოგადოებაც, რომ ძალიან ბევრი დრო გაცდა იმისათვის, რათა შეგვეცნო და დაგვენახა, რომ ამ ძალასთან კოჰაბიტაცია უდიდესი შეცდომაა. თქვენ კი წინ ვეებერთელა საქმე გაქვთ გასაკეთებელი და საფიქრალი. ძალიან გაგვიგრძელდა ერთმანეთის მსგავსი დღეები, რაც საზოგადოებაში შეშფოთებას იწვევს. საერთოდ დღევანდელ ვითარებასთან დაკავშირებით მწვავედ ისაუბრა ობიექტივის ტელეეკრანიდან ბატონმა ბონდო მძინარაშვილმა; რაც საზოგადოების წიაღში დანახული განცდა იყო. ვფიქრობ, პარლამენტს ეს საუბარი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს, იგი საზოგადოების ხმაა და აღშფოთების პირველი ნიშანია!

მიკვირს, დელეგაციაში, რომელიც პრეზიდენტს ახლდა სტრასბურგში, როგორ არ აღმოჩნდა ერთი მაინც ისეთი ადამიანი, რომელიც წამოდგებოდა, საზოგადოებას ბოდიშს მოუხდიდა და ხმამაღლა განაცხადებდა: „ძნელია, უსმინო საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტს, როგორ ცრუობს მსოფლიოსა და აქ მსხდომი საზოგადოების წინაშე" და ამის შემდეგ დატოვებდა დარბაზს. ახლა იტყვიან, ეს დიპლომატიური ეთიკის დარღვევა იქნებოდა და ასე შემდეგ. მოსკოვში როცა ცხრა აპრილის საქმე განიხილებოდა და როცა ქართველი ერი შეურაცხყო საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურორმა, ჩვენი დელეგაცია ადგა და დატოვა დარბაზი (ეს გადაიცემოდა ტელევიზიით და მთელმა მსოფლიომ ნახა). მოგეხსენებათ, მაშინ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ძალიან სერიოზული თანამდებობა ეკავა, იგი იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, მაგრამ როცა მის ერს ურცხვად შეურაცხყოფდნენ, მან დატოვა დარბაზი, მას არ უფიქრია დიპლომატთა ეთიკაზე და არც მკაცრი საბჭოთა კანონის დარღვევაზე.

თქვენ დალოცვილებო, უმრავლესობავ, როცა ქვეყნის გადამრჩენ ადამიანს – ბატონ ბიძინა ივანიშვილს ვიღაც უცხოელი ლობისტი აკრიტიკებს და შეურაცხყოფს, რატომ არ გასცემთ საკადრის პასუხს ისე, რომ ხმა ჩააგდებინოთ. ჩვენ ვართ სახელმწიფო და ჩვენს საქმიანობაში ჩარევის უფლება არავის აქვს. არც „ნაცმოძრაობას" აქვს მორალური უფლება, ითხოვდეს ამა თუ იმ მინისტრის კვალიფიკაციის დოკუმენტებს, თანაც თავიანთ მიერ გაუპატიურებულ კონსტიტუციას იშველიებენ. გაახსენეთ მათ თავიანთ უწიგნურ მინისტრთა გვარები და ამით დაამთავრეთ მათთან პოლემიკა. თქვენი უმრავლესობით მოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე ზარზეიმი იყო. ამ ზეიმმა და არჩევნებში სამარცხვინოდ წაგებამ „ნაცმოძრაობის" დეპუტატები აიძულა, გარინდული და გასუსული ყოფილიყვნენ. მაგრამ როცა პარლამენტის დარბაზში გაისმა ხმა – „კოლეგებო", იმ წუთშივე დაიწყეს შეტევა. მათ ვერ იგრძნეს, რომ ქვეყანაში დიდი ცვლილებები მოხდა, რომ სხვა დრო დადგა, რომ ასპარეზზე სხვა პოლიტიკური ძალა გამოჩნდა (თუმცა, შეიძლება, არ სურდათ, დაენახათ!), ყველაფერი იქნებოდა კარგად, სიახლის დემონსტრირება უფრო მკაფიოდ გამოხატული რომ ყოფილიყო. ტელევიზიის მუშაობის სტრატეგიაც კი უნდა შეცვლილიყო, სახობრივადაც განსხვავებული. საუბედუროდ, იგი იმავე გზით აგრძელებს საქმიანობას.

მე კი მეგონა, რახან იმ ავად სახსენებელ პარლამენტის შენობაში შეხვედით, რომელიც გამარჯვების მემორიალის, გმირთა სიმბოლური სავანის ნანგრევებზეა აშენებული, თანაც ამ უგუნურებას პატარა ბავშვი და მისი დედა შეეწირა, მცირე მასშტაბის მემორიალს ან ნიშანსვეტს მაინც დადგამდით. მაშინ ურცხვი, აგრესიული ოპოზიციონერები გუგულებივით იქნებოდნენ ჩამომსხდარნი ქანდარაზე. ვაგლახ, რომ ეს ასე არ მოხდა. როცა სახელმწიფო პოლიტიკურ ტრანსფორმაციას განიცდის, სიახლეებს ამკვიდრებს, გასაგებია, ამას დრო სჭირდება. ყველაფრის უეცრად შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ პირველ რიგში საზოგადოებას უნდა ეგრძნო სამართლიანობის დროული აღდგენა, რასაც კატეგორიულად ითხოვს. ხალხი ითხოვს არჩევნების წინ მიცემული დაპირების შესრულებას, ამიტომ ხართ თქვენ რჩეული ხალხისა, ამიტომ გამოგიცხადეს ნდობა. თქვენი კომენტარები და მწვავე პასუხები უმცირესობისადმი დროს გართმევთ, როცა არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციამ მთელ მსოფლიოს გამოუცხადოს, ჩვენს მონაპოვარ დემოკრატიას გვინგრევენ და გვიშველეთო. შესაძლოა, უფრო მეტიც იკადრონ, ჩვენი ფანტაზია რომ ვერ გასწვდება. განა ის, რასაც უცხოელნი გვთავაზობენ, რომ პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ერთობლივი განცხადება გააკეთონ საგარეო პოლიტიკის შესახებ, არ გვახსენებს ოპოზიციის მოთხოვნას, კონსტიტუციაში აღნიშნულიყო, რომ საგარეო პოლიტიკა არ შეიცვლებოდა? ბევრი რამაა გასაკეთებელი და დასაფიქრებელი, საზოგადოება ძალზედ დამუხტულია და მშფოთვარე, ამიტომ, სასურველია, პარლამენტის თავმჯდომარის საჯაროდ ტელევიზიით გამოსვლა დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით, დაამშვიდოს და აუხსნას ჭირთამთმენ ქართველ ხალხს, რომ ყველა დაპირება შესრულდება, ხოლო სამართლიანობის აღდგენა კი მყისიერად შესრულდება. ეს არც მოწოდებაა და არც ვინმესთვის ჭკუის დარიგება, ეს ჩემი გულწრფელი ხედვაა დღევანდელი ვითარებისა.

P.S.

რამდენიმე სიტყვით უნდა მივმართო პარლამენტს, იქნებ ვინმემ გაიხსენოს სიტყვები – ლიტერატურა და ხელოვნება, რომელნიც წლების მანძილზე ერთხელაც არ თქმულა. სამარცხვინოა, საქართველოში გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" აღარ იბეჭდებოდეს და დიდგორის მემორიალთან ნორმალური მისასვლელი გზა არ იყოს!

მერაბ ბერძენიშვილი

05.03.

ინფორმაცია

## იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტი მოიწონეს

ვენეციის კომისია საქართველოს იმ მოდელს სთავაზობს, რომელიც არასამთავრობო სექტორის პოზიციასთან ყველაზე უფრო მიახლოებულია, – ამის შესახებ სასტუმრო „რედისონში" გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ქართული არასამთავრობო სექტორის პოზიციაა, რომ უმჯობესი იქნება, თუ უფლებამოსილება ვადაზე ადრე არ შეუწყდებათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არიან არჩეული და არ ახორციელებენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს. სხვა შემთხვევებში კი, კახა კოჟორიძის ინფორმაციით, ქართველი არასამთავრობოები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას არ ეწინააღმდეგებიან.

საია-ს თავმჯდომარის განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ ვენეციის კომისიის დასკვნის ოფიციალური ვერსია ჯერ არ გამოქვეყნებულა, გავრცელებული ინფორმაცია იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ კანონპროექტის ძირითადი პრინციპები და არსი მოწონებულია.

არასამთავრობო ორგანიზაციები „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო", „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია„ და „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" მიესალმებიან ვენეციის კომისიის მოსაზრებებს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტთან დაკავშირებით.

არასამთავრობოების განმარტებით, ყველა ამ სიახლეს ვენეციის კომისია დადებითად აფასებს. არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, რომ უნდა გამოინახოს რესურსი, რათა აღნიშნული კანონპროექტი სასამართლო ხელისუფლების, მთავრობის საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის პოზიციების მაქსიმალურად დაახლოებისა და შეთანხმების გზით იქნას მიღებული და არა მწვავე დაპირისპირების რეჟიმში.

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## პარლამენტმა ერთხმად მიიღო

**საქართველოს საგარეო პრიორიტეტებთან დაკავშირებით, მერვე მოწვევის პარლამენტმა რეზოლუცია 96 ხმით ერთხმად მიიღო, რითაც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებული 19 აპრილის საპროტესტო აქციის ლოზუნგი — „ჩვენი მომავალია ევროპა“, ფაქტობრივად, ფიქციად იქცა.**

**საკანონმდებლო ორგანომ ქვეყნის საგარეო კურსის უცვლელობასთან და ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით, 19-მუხლიანი დოკუმენტი ხანგრძლივი დებატების, კამათისა და დაპირისპირების შემდეგ მიიღო. დოკუმენტის მუხლებზე, უმცირესობასა და უმრავლესობას შორის კონსულტაციები ბოლო წუთებამდე მიმდინარეობდა და დოკუმენტში პრინციპული მნიშვნელობის ცვლილებაც აისახა.**

**კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ პრინციპული მოთხოვნა იყო, რომ მე-18 მუხლში ცალსახად დაფიქსირებულიყო და ჩაწერილიყო, რომ საქართველო არ გაწევრდება ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევრაზიის კავშირი, საბაჟო კავშირი და სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებები, სადაც დომინანტი რუსეთის ფედერაციაა.**

**იმის მიუხედავად, რომ მე-18 მუხლში აღნიშნული ორგანიზაციები დაკონკრეტებული არ არის, მასში იგულისხმება, რომ საქართველო დსთ-ში, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასა თუ ევრაზიის კავშირში არ გაწევრდება.**

**უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები მიიჩნევენ, რომ პარლამენტის მიერ დამტკიცებული რეზოლუცია „საინტერესო“ და „კარგი“ დოკუმენტია.**

**როგორც for.ge-ს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზვიად კვაჭანტირაძემ განუცხადა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დოკუმენტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, რადგანაც იგი ასახავს როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის ინტერესებს.**

**„წერტილი უნდა დაესვას ჭორაობას — საქართველოს ხელისუფლების მიერ საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების საკითხს. როგორც ცნობილია, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 19 აპრილს აქცია დააანონსა, მაგრამ მათ ლოზუნგის ან თემატიკა უნდა შეცვალონ, ან ეს დღე საერთოდ აზრს კარგავს. თუ მათ შეხვედრის სურვილი მაინც აქვთ, სჯობს, სხვა მიზეზი მოძებნონ, რადგან საგარეო კურსთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, შეკითხვები აღარ უნდა დარჩეს. რაც შეეხება დოკუმენტს, რეზოლუცია საინტერესო და კარგი დოკუმენტია, რომელიც ქართველი ხალხის ურყევ ნებას სრულად ასახავს“, — განაცხადა კვაჭანტირაძემ.**

**თანაგუნდელის მსგავსად, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის ხელმძღვანელი გიორგი ვოლსკი მიიჩნევს, რომ საგარეო კურსთან დაკავშირებით, ყოველგვარ ინსინუაციებს ბოლო მოეღო.**

**„ეს დოკუმენტი აგებულია კოალიციის პროგრამის იმ ჩანაწერებზეც, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა კურსს გულისხმობს. ვფიქრობ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში, დოკუმენტზე ნაციონალების არდათანხმება იმით იყო გამოწვეული, რომ ეს დოკუმენტი კოალიციის პროგრამის საფუძველზეა მიღებული. საგარეო კურსთან დაკავშირებით, რეზოლუციამ ყოველგვარ ინსინუაციებს ბოლო მოუღო“, — განუცხადა for.ge-ს ვოლსკიმ.**

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ბარამიძე დოკუმენტს ნაყოფიერს უწოდებს, რეზოლუციის ბოლო ვარიანტით კმაყოფილია, თუმცა, დოკუმენტზე მაინც „ოპოზიციურად“ საუბრობს.**

**„კმაყოფილებას გამოვხატავ, მაგრამ დოკუმენტი ჩვენ რომ გაგვეკეთებინა, ის უფრო ძლიერი გამოვიდოდა. როგორც დოკუმენტი ნაყოფია და ურთიერთკომპრომისების შედეგია, თუმცა, საგარეო კურსი საქართველოს კონსტიტუციაში უნდა აისახოს“, — აცხადებს ბარამიძე.**

**რაც შეეხება რეზოლუციას, 19-მუხლიან დოკუმენტს, for.ge უცვლელად გთავაზობთ:**

# ნაციონალებს 19 აპრილის გეგმა ჩაეშალათ

ეყრდნობა რა საქართველოს კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

ხელმძღვანელობს რა საქართველოს საზოგადოების ინტერესებით, მათ შორის 2008 წლის პლებისციტის შედეგებით გამოხატული ნებით;

ითვალისწინებს რა ეროვნული უსაფრთხოების, დეოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზრუნველყოფის პრიორიტეტულობას და ამ ამოცანების შესრულებაზე პოლიტიკური ძალების საერთო პასუხისმგებლობას;

ადასტურებს რა საქართველოს ვალდებულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე 2010 წლის 23 ნოემბერს სტრასბურგში, ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას აიღო;

გამოხატავს რა მისწრაფებას ხელი შეუწყონ საერთაშორისო ურთიერთობათა ასპარეზზე საქართველოს, როგორც საიმედო, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე აგებული საგარეო პოლიტიკის მქონე პარტნიორის, ავტორიტეტის დამკვიდრებას;

მიიჩნევს რა, რომ საგარეო ურთიერთობათა სფეროში ეფექტიანი პოლიტიკის გატარებისა და მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია პოლიტიკურ ძალებს შორის თანამშრომლობის და მრავალმხრივი კონსულტაციების საფუძველზე ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრატეგია;

საქართველოს პარლამენტი აცხადებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს:

1. საქართველოს საგარეო ურთიერთობების კურსი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ინტერესებით, მისი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფის ამოცანიდან გამომდინარე;

2. საქართველოს საგარეო ურთიერთობების პოლიტიკის ამოცანებია ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა, ტერიტორიების დეოკუპაცია და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ქვეყნის ერთიანობის აღდგენა;

3. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციაში გაწევრების სტრატეგიული პრიორიტეტების მისაღწევად საქართველო გადადგამს შემდგომ ნაბიჯებს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და გაძლიერების, სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული მართვის სისტემისა და ადამიანის უფლებათა უზენაესობის დამკვიდრების, მდგრადი ეკონომიკური განვითარების შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველო არ გაწევრდება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა პოლიტიკაც ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრიორიტეტს;

4. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპული და ევროატლანტიკური კურსი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მდგრად დემოკრატიულ განვითარებას და ქვეყნის უსაფრთხოებას და არ არის მიმართული რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ;

5. საქართველო განახორციელებს თანამიმდევრულ პოლიტიკას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ბუქარესტის და შემდგომ სამიტებზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად. უახლოესი პერიოდის ამოცანას წარმოადგენს შეთანხმების მიღწევა მოდალობებსა და ვადებზე;

6. საქართველო სრულად იზიარებს მსოფლიოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე რეაგირების საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობის ვალდებულებას. ამ მიმართებით საქართველოს მიერ საერთაშორისო სამშვიდობო, საპოლიციო და სამოქალაქო ოპერაციებში წვლილის შეტანა ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია;




7. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შესრულება, რომლებიც საქართველოს საშუალებას მისცემს წარმატებით დაასრულოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან ასოცირების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის და ვიზების ლიბერალიზაციის თაობაზე;

8. ევროკავშირთან თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში განვითარდება ოთხი ძირითადი მიმართულებით: დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, გარემოს დაცვა და ენერგოუსაფრთხოება, ადამიანთა შორის ურთიერთობები. პრიორიტეტულად განიხილება ასევე თანამშრომლობა სამშვიდობო პროცესების განვითარების სფეროში;

9. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობებით. მის ფარგლებში განიხილება ოთხი ძირითადი მიმართულება:

თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, მათ შორის თავდაცვის სფეროში გაფართოებული პროგრამის რეალიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება და ნატოს წევრობისათვის მომზადება, აგრეთვე შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის განხორციელება;

—თანამშრომლობა ეკონომიკის, ვაჭრობის და ენერგეტიკის სფეროებში, მათ შორის შეთანხმების მიღწევა თავისუფალი ვაჭრობის საკითხზე;

—დემოკრატიის გაძლიერება;

— ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება, მათ შორის შეთანხმების მიღწევა უვიზო რეჟიმის საკითხებზე.

10. ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ისევე როგორც ევროკავშირთან, როგორც მთავარ სტრატეგიულ პარტნიორებთან არსებული შეთანხმებებით დასახული ამოცანების შესრულებას საქართველო, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს როგორც ვალდებულებას საკუთარი საზოგადოების წინაშე;

11. საქართველო რუსეთთან დიალოგს წარმართავს როგორც ჟენევაში მიმდინარე საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით, ისე ორმხრივ ფორმატში. ამ დიალოგის მიზანია კონფლიქტის მოგვარება, კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება;

12. საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და რუსეთის ფედერაციის პოზიციების დაახლოებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად;

13. საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს კავკასიაში პოლიტიკურ დიალოგს და ეკონომიკურ თანამშრომლობას რეგიონის სახელმწიფოთა ძირეული ინტერესების თანხვედრისათვის. ჩრდილოკავკასიის ხალხებთან ურთიერთობები დაეფუძნება კეთილმეზობლობის, კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის ისტორიულ გამოცდილებას და ტრადიციებს;

14. მნიშვნელოვანია ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება მეზობელ აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სომხეთთან. ამ ქვეყნებისათვის საქართველო უნდა გახდეს ურთიერთსასარგებლო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების და ბიზნესშესაძლებლობების რეალიზაციის სივრცე;

15. ტრანსნაციონალური პროექტებისათვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება შავი და კასპიის ზღვების აუზების, ახლო აღმოსავლეთის და აზიის ქვეყნებთან;

16. საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს ბალტიის ქვეყნებთან. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების გამოცდილება და მხარდაჭერა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში;

17. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე სკანდინავიის სახელმწიფოებთან, მათ მიერ საქართველოში მიმდინარე რეფორმების და ქვეყნის სუვერენიტეტის მხარდაჭერა;

18. „საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმყოფებოდეს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ან ოკუპირებული აქვთ საქართველოს ტერიტორია. საქართველო გაატარებს თანამიმდევრულ საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საერთაშორისო პატივისცემის ურყეობა“.

19. ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოების განმტკიცების ინტერესიდან გამომდინარე, აგრეთვე სამშვიდობო პროცესის განვითარების და „არაღიარების პოლიტიკის“ შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველომ მნიშვნელოვნად უნდა გააღრმაოს მრავალმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, ევროკომისიის, სუამის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფორმატებში.

**ინფორმაცია**

## ზურაბ ადეიშვილი უახლოესი თვეების განმავლობაში ჩამოსვლას არ აპირებსო



**ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე „ნაციონალური მოძრაობის“ გენმდივანმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა.**

**მისივე თქმით, ადეიშვილთან ხშირად აქვს სატელეფონო კავშირი და 19 აპრილის აქციისთვის საქართველოში არ იქნება.**

**— ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირცხვილი ხელისუფლების, რომ ძალიან ბევრი ჩვენი ქვეყნის რჩეული და პატივსაცემი ადამიანი იძულებულია, საქართველო დატოვოს. ეს არის საქართველოს დიდი ტრაგედია, რადგან ხშირად საქართველოს პოლიტიკურ ელიტას უხდება ქვეყნის დატოვება. ეს არის კიდევ ერთი მტკიცებულება, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც საქართველოს მომავლის არ ესმის და რეპრესიებს ახორციელებენ, — აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.**

**მისივე თქმით, ასევე ხშირად აქვს საუბარი მის მეგობრებთან, რომლებიც საქართველოში არ იმყოფებიან. ყოფილი პრემიერი დარწმუნებულია, რომ ამის შესახებ ხელისუფლებამ მშვენივრად იცის და ყველა სატელეფონო საუბარი ჩაწერილი აქვთ.**

**ინტერპრესი**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## პარლამენტი

**18 მარტის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვის ზუსტი თარიღი გამოცხადდება და არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვის თაობაზე ინიცირებულ საკონსტიტუციო პროექტში გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს.**

**პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის შეფასებით, განხილვისთვის წარდგენილ ტექსტში შესაძლოა, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები აისახოს, მათ შორის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში პარლამენტის დათხოვნა-არდათხოვნის საკითხი.**

**უსუფაშვილის ცნობით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა ჩატარდება, სადაც დეკემბერში ინიცირებულ პროექტს შეაჯერებენ.**

**„ტექსტი გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე შეჯერდება", — დასძენს სპიკერი, რომელიც აშშ-ში ოფიციალურ შეხვედრებს მართავს.**

**რაც შეეხება იმ საკითხს, საკონსტიტუციო ცვლილებებს „ნაციონალური მოძრაობა" მხარს დაუჭერს თუ არა, ეს ამ დრომდე უცნობი რჩება, მაგრამ for.ge-ს ინფორმაციით, საპარლამენტო უმცირესობის რამდენიმე წევრი ცვლილებების მხარდაჭერას გეგმავს.**



# საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს უმცირესობის რამდენიმე წევრის დაუჭერს

კერძოდ, ინფორმირებული წყაროს ცნობით, ხულოს მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე უმცირესობის ლიდერს დავით ბაქრაძეს შეხვდა და განუცხადა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას აპირებს, რაზეც პარლამენტის ექს-სპიკერმა უპასუხა, რომ „ეს მისი ნებაა".

ამას გარდა, for.ge-ს ინფორმაციით, ცვლილებების მხარდაჭერას გეგმავს მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატი ნაულ ჯანაშიაც, რომელიც ბოლო პერიოდში, უმცირესობის რიგებიდან წამოსულ დეპუტატებთან — გურამ მისაბიშვილთან და იაშა შერვაშიძესთან კონსულტაციებს მართავს.

ამასთან, ჩვენივე ინფორმაციით, უმცირესობაში კიდევ ოთხი დეპუტატია, რომლებიც უმრავლესობის ლიდერებთან კონსულტაციებს მართავენ, თუმცა, ამ პირების ვინაობის დადგენა შეუძლებელი გახდა, რადგან მათ ვინაობას მმართველი ძალის ლიდერები ასაიდუმლოებენ და აცხადებენ, რომ მათ საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცების მაღალი შანსი აქვთ.

რაც შეეხება პარლამენტში ინცირებულ ცვლილებებს, პროექტის თანახმად, კონსტიტუციიდან ის ორი მუხლი ამოდის, რომელიც პრეზიდენტს ახლად არჩეული პარლამენტის პირველი ექვსი თვის განმავლობაში და საკუთარი უფლებამოსილების ამოწურვამდე ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დათხოვნას უკრძალავს. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილი პროექტით, პრეზიდენტს უფლება ეძლევა პარლამენტი დაითხოვოს და ნებისმიერ დროს, რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს, მათ შორის პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.

აღნიშნულ ინიციატივას არასამთავრობო სექტორი იმთავითვე კრიტიკით მიუდგა. მათი შეფასებით, საჭიროა, პარლამენტს კონსტიტუციური დაცვის გარანტიები შეუნარჩუნდეს.

ამავე პროექტით, იზღუდება ქვეყნის პირველი პირის უფლებები მთავრობის დათხოვნის მიმართულებით. კერძოდ, ჯერ კიდევ მოქმედი საკონსტიტუციო ნორმის თანახმად, თუ მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა ზედიზედ სამჯერ პარლამენტის ნდობას ვერ მიიღებს, პრეზიდენტი ხუთი დღის ვადაში პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას წამოაყენებს, ან პარლამენტის თანხმობის გარეშე პრემიერ-მინისტრს ნიშნავს, ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე ხუთი დღის ვადაში, პრეზიდენტის თანხმობით მინისტრებს დანიშნავს.ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს. წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის თანახმად კი, თუ მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა ზედიზედ სამჯერ პარლამენტის ნდობას ვერ მიიღებს, პრეზიდენტი სამი დღის ვადაში პარლამენტს დაითხოვს და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს. მთავრობის საქმიანობას კი, ახალი შემადგენლობის შექმნამდე ძველი სამთავრობო გუნდი გააგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ უმცირესობის რიგები 21 ოქტომბრიდან 12 დეპუტატმა დატოვა, რომელთაგან, ამ დროისთვის ხუთი უფრაქციო დეპუტატია, რომელთა შორის არიან — გურამ მისაბიშვილი, მარიკა ვერულაშვილი, იაშა შერვაშიძე, გიორგი ფეიქრიშვილი, გოჩა ენუქიძე. for.ge-ს ინფორმაციით, ამბროლაურის მაჟორიტარ დეპუტატ გოჩა ენუქიძეს ფრაქციის შექმნა სურს და იქიდან გამომდინარე, რომ რეგლამენტით, ფრაქციის შექმნისთვის ექვსი კვოტაა საჭირო, ის კონსულტაციებს უმცირესობის წევრებთან მართავს.

**თეონა მანაგაძე**

## ინფორმაცია

### რუსთაველის თეატრი მოსკოვსა და კიევში გასტროლებს გამართავს

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი კიევსა და მოსკოვში გასტროლებს გამართავს.**

**ამის შესახებ რუსთაველის სახელმწიფო თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ია შერაზადაშვილმა განაცხადა.**

**მისივე თქმით, რუსთაველის თეატრის გასტროლების დეტალები ზუსტდება და ინფორმაცია თეატრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება.**

### აბრებზე წარწერები სახელმწიფო ენაზე უნდა გაკეთდეს

**აბრებზე დატანილი წარწერების ქართულ ენაზე შესრულება კანონით სავალდებულო ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირების ადმინისტრაციული წესით დასჯას გამოიწვევს.**

**„რეკლამის შესახებ" კანონში და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ცვლილების პროექტი პარლამენტს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ტყემალაძემ შესთავაზა.**

**„რეკლამის შესახებ" კანონში ტერმინის „აბრა" განმარტება შემოდის და მასში ისიც იწერება, რომ აბრა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენაზე ვრცელდება. ამასთან, როგორც კანონმდებელი განმარტავს, აღნიშნული მოთხოვნისა და ვალდებულების დაწესება არ გამორიცხავს იმას, რომ აბრაზე დატანილი წარწერა ქართულ ენასთან ერთად, სხვა უცხო ენაზეც შესრულდეს.**

**ინტერპრესი**

## როცა სამშობლო კი არ სძულთ, არ უყვართ!

# ძლიერი, სუსტი და „მთავარი"

ზოგი თხისკენ და ზოგი მგლისკენო.

„რუსთავორელებზე" უკეთ ვინ იცის, როგორ წარმართონ დებატები, როგორ შეარჩიონ სტუმრები, „ძლიერ" ნაციონალებს „სუსტი" მეოცნებეები როგორ დააჩაგვრინონ.

**ნინო შუბლაძეც** ჭეშმარიტი „რუსთავორელია."

8 მარტის „პოზიციაში" **ნუგზარ წიკლაური** და **ირაკლი სესიაშვილი** მიიწვია.

აშკარაა, რომ ნინოსა და, მაშასადამე, „რუსთავი-2"-ის აზრით, პირველი ძლიერია, მეორე — სუსტი.

ამ აზრს აქვს თავისი ლოგიკა:

დემაგოგი ძლიერია, ინტელიგენტი — სუსტი.

არგუმენტებს მნიშვნელობა არა აქვს, არც ლამაზ თვალებს. არადა, თვალები სულის სარკეა.

ნუგზარ წიკლაურის თვალები იმ დღეს ბოღმას აჩვენებდნენ, ირაკლი სესიაშვილისა კი — წუხილს.

ჯარისკაცები გაუსაძლის პირობებში არიანო, — წუხდა ირაკლი სესიაშვილი.

ვამაყობ, ბაჩო ახალაია რომ ჩემი მეგობარია და ჯილდოდ იარაღი გადმომცაო, მარტო მე კი არა, „კომედი შოუს" მსახიობებიც დაასაჩუქრა და ძალიანაც კარგიო, — აცხადებდა წიკლაური.

ყოფილი ზვიადისტი!

**ზვიად გამსახურდია,** ალბათ, საფლავში ბრუნავს.

ორიოდე წლის წინათ ბატონმა მამუკა წიკლაურმა (ბოცოს მამამ) „ლიტერატურულ გაზეთში" გაიხსენა მანქურთის მითი და ჩინგიზ აიტმატოვის განთქმულ რომანში აღწერილი სულისშემძვრელი ეპიზოდი — დედის მიერ მეხსიერებადაკარგული შვილის დატირება.

მე ეს მითი იმდღევანდელმა „პოზიციამ" გამახსენა. და წარმოვიდგინე, თუ როგორ შეიძლება, მამამ დაიტიროს მანქურთი შვილი.

ნუთუ ეს კაცი, ნუგზარ წიკლაური, ოდესმე მართლაც ზვიადისტი იყო, შემდეგ კი მეხსიერება წაართვეს და სააკაშვილის მხარდამჭერად აქციეს? სხვაგვარად როგორ აიხსნება ის ფაქტი, კაცი ბაჩო ახალაიას ნაჩუქარი იარაღით რომ ამაყობს, თანაც ქართული საბრძოლო მანქანით ერთიანად გახარებულ საქართველოს ხედავს, იმ მანქანით გახარებულს, რუსთაველზე ერთხელ საპიაროდ რომ ჩაატარეს და შემდეგ გულმოდგინედ დაივიწყეს. მერედა, როდის ჩაატარეს? 26 მაისს, სისხლიანი დარბევის შემდეგ, 9 აპრილიც რომ დაჩრდილა: მაშინ ხომ ქართველებს ქართველები არ უსწორდებოდნენ!

ეტყობა, იმ დღეს პოეტები და ხელოვანები ბრწყინვალების ორდენებით დააჯილდოვეს, წიკლაური და მინაშვილი კი — პისტოლეტებით...

ამიტომაც იცავენ ასეთი უტიფრობით ბაჩო ახალაიას.

ნინო შუბლაძეს კი, ალბათ, ჰგონია, რომ იმ საღამოს წიკლაურმა აჯობა სესიაშვილს.

ალბათ, მის შეფებსაც ასე ჰგონიათ...

* * *

**ერთ-ერთ** ინტერვიუში **უმბერტო ეკო** საუბრობს იმაზე, რომ პრეზიდენტები (იგულისხმება ყველა „სახელწოდების" ხელისუფალი) არაფერს კითხულობენ. „ჰიტლერი? „ომი და მშვიდობა „წაკითხული რომ ჰქონოდა"...

„ჯორჯ ბუშს ავღანეთზე ორიოდე წიგნი რომ წაეკითხა"...

ინტერვიუს ფრაგმენტი:

„ — შეგიძლიათ, ჩამოთვალოთ წიგნები ახალბედა პოლიტიკოსისათვის?

— უნივერსალური სია არ არსებობს, ყველაფერი გარემოებაზეა დამოკიდებული. გამონაკლისია ბიბლია.

— **ჯორჯ ბუშს** ალბათ წაკითხული აქვს ბიბლია.

— ცუდად აქვს წაკითხული."

ბიბლია, რა თქმა უნდა, გამონაკლისია, მაგრამ ჩემი ნება რომ იყოს, ყველა პოლიტიკოსს და ხელისუფალს ვაიძულებდი, გამუდმებით ეკითხათ **ნიკოლო მაკიაველის** „მთავარი" — **ბაჩანა ბრეგვაძის** ბრწყინვალე თარგმანი, მისივე წინასიტყვაობითა (სინამდვილეში, ვრცელი გამოკვლევით) და კომენტარებით.

მაკიაველის ხსენებაზე, ყველას ეს გამოთქმა ახსენდება: „მიზანი ამართლებს საშუალებას."

სინამდვილეში კი მის თხზულებაში პოლიტიკოსები გაცილებით უფრო ღრმა აზრებსა და სასარგებლო რჩევებს ამოიკითხავენ , მაგალითად, ასეთს:

„სიძულვილის საგნად მას (მთავარს), უწინარეს ყოვლისა, აქცევს მგლური სიხარბე და თავის ქვეშევრდომთა საკუთრებისა და მათი ცოლების პატივის ხელყოფა... მთავარი ზიზღს იწვევს მაშინ, როცა მას მერყევ, თავქარიან, სულმოკლე, მხდალ და გაუბედავ კაცად თვლიან."

ხომ არაფერი გენიშნათ, ვინმე ნაცნობი ხომ არ წარმოგიდგათ თვალწინ, ბატონო ნუგზარ?

სხვათა შორის, აქ სამშობლოსადმი მაკიაველის დამოკიდებულებაზეც შევიტყობთ: „მაგრამ მარტოოდენ პოლიტიკას როდი ეკუთვნოდა მაკიაველის გული და გონება, მისი ვნება და ნება. ის აღმერთებდა, მთელის არსებით თაყვანს სცემდა კიდევ უფრო დიად კერპს - თავის წმიდათა - წმიდა მამულს, თავის მრავალტანჯულ სამშობლოს. და ეს მაშინ, როცა ძალზე ცოტას თუ ადარდებდა „განადგურებული, გაპარტახებული, განძარცული, ფეხქვეშ გათელილი, თავლაფდასხმული და მიწასთან გასწორებული იტალიის ბედი."

ზუსტად ჩვენსავით ყოფილან!

სულ ახლახან **ედუარდ შევარდნაძემ** დაწერა, სააკაშვილისაგან განსხვავებით, მე საქართველო არ მძულდაო.

სასტიკი სიტყვებია.

ჩემთვის შევარდნაძე კიდევ უფრო მიუღებელია, ვიდრე სააკაშვილი, რადგან რომ არ ყოფილიყო პირველი, არ იქნებოდა მეორე, მაგრამ საქართველო სძულდათო, ვერც ერთზე ვერ ვიტყვი. კი არ სძულდათ, არ უყვარდათ.

არ სძულდათ საქართველო, მაგრამ საშინლად უყვარდათ სკამი.

რა ბედნიერებაა, რომ ორივეზე უკვე წარსულ დროში ვსაუბრობთ...

რა ბედნიერებაა, რომ ოცი წლის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ლიდერი, რომელზეც ნამდვილად ვერ ვიეჭვიანებთ, სკამი სამშობლოს ურჩევნიაო, თუმცა მაკიაველის ხშირად წაკითხვას მასაც ვურჩევდი: ჯვარი სწერია, მაგრამ მეშინია, ძალაუფლებით ტკბობის ბაცილაც არ შეეყაროს...

**იოსებ ჭუმბურიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ადამიანთა ორგანიზებული ერთობა თავისი არსით მრავალგვარი შეიძლება იყოს, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა აერთიანებთ მათ: რწმენა, მრწამსი, ინტერესები, მიზნები, მოთხოვნილებები, მოთხოვნები და ასე შემდეგ. ამაზეა დაფუძნებული რელიგიური და სექტანტური, პოლიტიკური და პროფკავშირული, სამწერლობო და სახელოვნებო, სამეცნიერო და სპორტული ორგანიზაციები. თითოეულ მათგანს საფუძვლად უდევს გარკვეული იდეოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მათს ორიენტაციებს, მოქმედების ფორმებსა და შინაარსს. ეს იდეოლოგიები, თუ ადამიანურ ბუნებასა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს არ ეწინააღმდეგება, მაშინ მასზე დაფუძნებულ თითოეულ ორგანიზაციას აქვს არსებობის უფლება „ამ მზის ქვეშ“ და ყველა ადამიანს შეუძლია აირჩიოს ან არ აირჩიოს იგი.**

ახლა სათაურში გამოტანილ „პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ“: ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური პარტიაა თუ არა?

მოდით, ვნახოთ, როგორ განსაზღვრავენ პოლიტიკური პარტიის ცნებას ავტორიტეტულ საცნობარო ლიტერატურაში. ყველაზე გავრცელებული ენციკლოპედიური განსაზღვრება ასეთია: „პოლიტიკური პარტია არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს საზოგადოების, კლასის ან სოციალური ფენის ინტერესებს, აერთიანებს მის ყველაზე აქტიურ წარმომადგენლებს და წარმართავს მათ ძალისხმევას გარკვეული მიზნებისა და იდეალების მიღწევისაკენ“.

პოლიტიკური პარტიები, თავის მხრივ, მრავალგვარია და მრავალრიცხოვანი, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც, ერთი ჩვენებური ემიგრანტის თქმისა არ იყოს, სამი ქართველი ოთხ პარტიას ქმნის. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პრინციპებით, რასაც განსაზღვრავს როგორც მათი ფუნდამენტური იდეოლოგია, ისე ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებანი. ამიტომ არის, რომ ნებისმიერი პოლიტიკოსი ამა თუ იმ იდეოლოგიური მრწამსისა და შესაბამისი პრინციპების მატარებელია. კაცი თუ პოლიტიკოსობს და მას ზუსტად განსაზღვრული პრინციპები არ აქვს, მას პოლიტიკანს უწოდებენ, რასაც წესიერ საზოგადოებაში სალანძღავი შინაარსი აქვს.

აბა, ახლა, ვნახოთ, **ნაცმოძრაობა არის კი პოლიტიკური პარტია და მისი ლიდერები თუ გამოჩენილი სახეები — პოლიტიკოსები (რიგით წევრებზე საუბარი არ ღირს, რადგან, მათმა უდიდესმა უმრავლესობამ ხეირიანად ისიც არ იცის, რას ნიშნავს ტერმინი „ნაციონალური“ და გულუბრყვილოდ იგი „ეროვნული“ ჰგონია!).**

**ვის ინტერესს გამოხატავს ნაცმოძრაობა? საქართველოს მთელი საზოგადოებისას? ჰო, აბა! გაურკვეველი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის მქონე თანამდებობის პირებს 18-20 ათასლარიანი ხელფასები ჰქონდეთ, პედაგოგების და ექიმების ხელფასი 300 ლარს არ აღემატებოდეს, ხოლო მოსახლეობის 70% უმუშევარი იყოს, სწორედაც, რომ ქართველი საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება, არა? კი, აბა, მაგათმა თავის ხეთქვამ!**

იქნებ რომელიმე სოციალური კლასის ინტერესების გამომხატველია ნაცმოძრაობა?

რომელი კლასისა ნეტავი?

მუშათა კლასის? ასეთი კლასი, ფაქტობრივად ჩვენში არც არის და რომც იყოს, განა მისი ინტერესი წარმოების განადგურება და უმუშევართა კატასტროფული ზრდა იქნება? ცხადია, არა!

**იქნებ გლეხობის ინტერესებს ემსახურებოდნენ ნაცები? მტერი არ არის მეტი! ლამის ნახევარი სახნავ-სათესი მიწები უცხოელებს მიჰყიდეს, სოფლებს ტყე და საძოვრები წაართვეს და გუშინდელი გლეხები ქალაქში ჩამორეკეს დღიურ მუშებად, რომელსაც მეტწილად ვერ შოულობენ, ისინი არიან ნაცმოძრაობის დასაყრდენი?**

არაფერი გეტკინოთ!

**ნაცების რიტორიკას თუ დავუჯერებთ, ბურჟუაზია, კაპიტალისტთა კლასი უნდა ყოფილიყო ყველაზე მეტად მათი საქმიანობით კმაყოფილი. სინამდვილეში კი, რაც მეწარმეებს დააწიეს ნაცებმა, ვერანაირი უცხო დამპყრობელი ვერ უზამდა უარესს. რეკეტი, ტერორი, ექსპროპრიაცია, შანტაჟი — აი, მწარმოებლებთან ნაცების დამოკიდებულების მეთოდები. სად არის აქ პოლიტიკა? არსად! ისე, რომ ნაცმოძრაობა არც ბურჟუაზიული პარტიაა.**

ინტელიგენციის ინტერესებს ხომ არ გამოხატავდნენ ნაცები, ნეტავი? გაგეცინათ, არა? მეცნიერება და განათლება გაანადგურეს, ხელოვნება გადააგვარეს, მწერლობა ისე დაარბიეს, თემურ ლენგის შემოსევის მერე რომ არ ახსოვს არავის... ინტელიგენტთაგან ვინც რბევას გადაურჩა, გააბახეს. გაბახებულს რა მოეთხოვება, რასაც გინდა იმას გააკეთებინებ, მე შენ გეტყვი, ღირსებამ და თავმოყვარეობამ არ შეაკავოს, თუ გინდა „მიშა მაგარიას“ აბღავლებ და მის სახელზე ლოცვასაც აღავლენინებ. გაბახებულს რაც გინდა დაარქვი — მომღერალი თუ მწერალი, მსახიობი თუ მეცნიერი, გინდა „ბრწყინვალების“ ორდენი ჩამოჰკიდე და გინდა „ღირსებისა“, ვერც ბრწყინვალებას შესძენ და ვერც ღირსებას!

ისე რომ, არც ინტელიგენციის პარტია გახლავთ ნაცმოძრაობა!

**აბა ვის ინტერესებს გამოხატავენ და რა აერთიანებთ მაშინ?**

**საკუთარი ინტერესები, მომხვეჭელობა და თვითგადარჩენის ცხოველური ინსტინქტი.**

**რა აერთიანებს მგლების ხროვას? ერთმანეთის სიყვარული თუ მაღალი იდეალები? შიში, ბატონო, შიში! ერთი მგელი თავს ვერ გაიტანს, ერთ მგელს გულადი თხაც კი მოერევა. ხროვა ძალაა! მას თავისი კანონები აქვს. ხროვას, თუ მისი წევრი ხარ, ვერ უგანებ, შეგჭამენ! ან ერთად, ყოფნა, ან დაღუპვა! აი, მგლური ბუნების კანონზომიერება.**

**სამწუხაროდ, ადამიანებიც, ერთიანდებიან ამ მგლური კანონების მიხედვით და ასეთ გაერთიანებას სოციალური სახელი — ბანდა ეწოდება.**

ნაცმოძრაობა, რაც უნდა საწყენი იყოს ჩემი თანამემამულეთა ერთი ნაწილისათვის, ძალიან ჰგავს ბანდას. ბანდის ფსიქოლოგიის დამკვიდრებისაკენ იყო მიმართული მათი „პარტიული“ ჰიმნი — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“ ამ „გუნდის“ საქმიანობამ სულ მალე დაამტკიცა, რომ მათ ლოზუნგს საერთო არაფერი ჰქონდა რაინდულ მორალთან „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!“ იგი წმინდა წყლის კრიმინალური შინაარსის მატარებელი იყო. **ეს სრულიად ნათლად გამოჩნდა გასული წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ საშინელ და წარმოუდგენელ დანაშაულში მხილებული ნაცმოძრაობის აქტივისტების დაჭერა სცადა. დაპატიმრების ყოველ მცდელობაზე ნაცბანდა ერთსულოვნად დგებოდა ყალყზე და ქვეყნის დამაქცევართ „ეროვნულ გმირებს“ „აღმაშენებლებს“ „ცოტნე დადიანებს“ უწოდებდა. ბევრი მათგანი „ზურგზე თაფლის წასმასა“და პროკურატურის შენობის წინ ასფალტზე წამოწოლას გეგმავდა. „მეც დამიჭირეთ, მეც ერთი მათგანი ვარ!“ (დროებით დაპატიმრებული ესა თუ ის ნაცი იგულისხმებოდა), — ეს განა ბანდის მორალის გამოვლინება არ არის?**

გუნდურობა, როდესაც იგი ამხანაგობასა და მეგობრობას გულისხმობს, ცუდი როდია. გუნდის წევრები ერთმანეთს მხარს უნდა უჭერდნენ, მაგრამ უპირობო მხარდაჭერას მხოლოდ ბანდის მორალი უდევს საფუძვლად. აბა, მეგობართა წრიდან ვინმემ ამორალური საქციელი რომ ჩაიდინოს, მეგობრები კი არ გაამართლებენ მის ქმედებას, არამედ თავიანთი საძმოდან მოიკვეთენ, როგორც უღირსს, რადგან ამხანაგობა-მეგობრობა ზნეობას ეფუძნება, ბანდის წევრობა კი სრულ უზნეობას.

ნაცმოძრაობის ადეპტები გულზე მუშტს იბრაგუნებენ: ჩვენ და ჩვენნაირმა „გმირებმა“ კრიმინალური სამყარო ხერხემალში გადავტეხეთო (ქურდულ სამყაროს გულისხმობენ ამ შემთხვევაში ისინი).

# ნაცმოძრაობა: პოლიტიკური პარტია თუ ბანდა?



კი, ქურდული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ, შეიძლება, მართლაც მიაღწიეს წარმატებას და ეს არც არის გასაკვირი: ფაშისტებმაც შეძლეს ორგანიზებული კრიმინალური (ქურდული) სამყაროს განადგურება გერმანიასა და იტალიაში, საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კი არა, ძლიერ კონკურენტებს ხედავდნენ მათში და იმიტომ.

ბანდას, რომელსაც სახელისუფლო სადამსჯელო საშუალებები უპყრია ხელთ, ქურდულ გაერთიანებებს უსათუოდ მოერევა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ქურდებიც დამნაშავეთა, კრიმინალურ სამყაროს ეკუთვნიან, მათს მოქმედებას მაინც ზღუდავს გარკვეული ქურდული წესები და კანონები, ბანდის მოქმედებას კი არაფერი ზღუდავს, „ბეზპრედელშინა“ არის მათი მოქმედების პრინციპი. **ნაცმოძის ზეობის დროს არ არსებობდა ისეთი კანონი, რომელიც მათ გზაზე გადაეღობებოდა. თვით კონსტიტუციასაც კი, ისე აუპატიურებდნენ, როგორც ორღობის კახპას.** ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და რასაც გვინდა იმას ვიზამთო, — საჯაროდ განაცხადა მათი ბატონობის დასაწყისში ნაცმოძმის ერთ-ერთმა სახემ. ნაცმოძრაობის ბელადი ხომ მიუკიბ-მოუკიბავად ამბობდა — სახელმწიფო ეს მე ვარო. აბა, სხვა რა იყო, არაერთგზის რომ განაცხადა: აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის ბრძანება მე გავეციო.

სამართლიანობისათვის ერთი რამ უცილობლად უნდა ვთქვა: ხელისუფლებაში მოსული (თუ მოყვანილი) ბანდა განსხვავდება ხელისუფლების გარეთ, საკუთარი თავის იმედად არსებული ბანდისაგან. ამ უკანასკნელის წევრები თავზეხელაღებულები და უშიშარი ადამიანები არიან, მათ საკუთარი თავის მეტი დამცველი არავინ ჰყავთ. სახელისუფლო ბანდებში ძირითადად გულნამცეცა, რძენაწყენი, ბავშვობაში დაჩაგრულები ან სხვა რაიმეს გამო კომპლექსიანები ერთიანდებიან. მათ ზურგსუკან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უზარმაზარი ძალოვანი მანქანა დგას: პოლიცია, პროკურატურა, სოდი, კუდი და ათასი სხვა ეშმაკი. ამიტომ არიან ისინი საშიშნი. ბოღმა და საკუთარი არასრულფასოვნება აწუხებთ მათ და ბიოლოგიური ზიზღი აქვთ ყოველგვარი სრულყოფილების მიმართ. ამიტომ შეუძლიათ სიამოვნებით უცქირონ, როგორ სცემენ საქართველოს ხელფეხშეკრულ სწორუპოვარ ფალავანს...

**ნაცბანდამ ისე მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ოკუპაცია, რომ ხალხს მათი მოცილების ყოველგვარი იმედი გადაეწურა. კანონიერად ამათ ვერ გადაირჩევ, რადგან მათ მიერ ჩატარებული არჩევნები არანაირ კანონს არ ექვემდებარება, აჯანყებას კი ხალხი ვერ შესძლებს, რადგან ნაცბანდის მიერ მოსყიდული მანქურთები იცავენო, — ასე ფიქრობდა დაბეჩავებული და ღირსებააყრილი ხალხი.** მართალიც იყო! ახსოვდა ხალხს 7 ნოემბერი თუ 26 მაისი, ის დაუნდობლობა, რასაც თემურ ლენგის შემდეგ არ მოსწრებია საქართველო.

**ჩვეულებრივ, როგორც არასახელისუფლებო ბანდას არ აინტერესებს რას ფიქრობს ხალხი, რა სურს, რას მიესწრაფვის, რა არის მისთვის ძვირფასი და შეუქცევადი ღირებულება, ისე არ აინტერესებდა ნაცბანდას საზოგადოების აზრი. საზოგადოება მათთვის არც არსებობდა. ასე რომ არ ყოფილიყო, სახალხო უკმაყოფილების გამომხატველ დემონსტრანტებს ტელეეკრანიდან როგორ გაუბედავდა ერთ-ერთი ნაცბოსი ამის თქმას: დედას გიტირებთ, სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებოო. ვერ გაუბედავდა! და თუ ღმერთი გაუწყრებოდა და მაინც წამოსცდებოდა ასეთი რამ, ნორმალურ ქვეყანაში იმ წუთიდან შეწყდებოდა მისი გუნდის პოლიტიკური სიცოცხლე.**

საიდან და როგორ მოვიდნენ ეს ნაცები ხელისუფლებაში, ამას პოლიტოლოგები და სხვა ანალიტიკოსები გაარკვევენ, თუ უკვე გარკვეული არ აქვთ (ან რა დიდი გამოძიება ამას უნდა!). ერთი კი ნათელია, საზღვარს გაღმა მათ ბევრი პატრონი და გულშემატკივარი ჰყავთ, რომლებიც ნაცბანდის დასაცავად არა მარტო სინდის-ნამუსზე, არამედ თავზეც ხშირად იღებენ ხელს...

არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის ლიდერმა როგორც კი განაცხადა (თანაც, ნამეტნავად ლიბერალურად!), ნაცმოძრაობას ისე კი არ მოვექცევით, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენს ხალხს ეკადრებაო, მაშინვე გამოიწვია ნაცების მთელი უცხოელი პატრონების ლუსტრაცია. არიქა, ჩვენი დაქირავებული ნაცბანდა (რატომ დაიქირავეს, არც ამის გამოძიებას სჭირდება დიდი სიბრძნე!) საერთოდ არ გააგდონ პოლიტიკიდანო და ატყდა ერთი ვაი-ვიში: ზეწოლაო, დევნაო, დემოკრატიის საფრთხეო... უცხოელი „დემოკრატები“ ისე „გადემოკრატდნენ“, რომ სისხლის სამართლის დამნაშავისა და აშკარად შარაგზის ყაჩაღის დაჭერის მცდელობა (მცდელობა!!!) დემოკრატიის ხელყოფად ჩათვალეს და ახალ ხელისუფლებას მუქარის წერილები გამოუგზავნეს.

ჩვენ მიერ არჩეულ დეპუტატებსა თუ მათ მიერ დანიშნულ მინისტრებს იქნებ შეეშინდათ კიდეც დასავლელი „დემოკრატების“ მუქარისა, მაგრამ ჩვენ? ჩვენც უნდა გვეშინოდეს? მერე, და ვისი — თემურ ლენგისა და ბულა-თურქის კი არა, ვიღაც პედერასტი და ლიბერასტი ნაძირლებისა! ნუთუ ვეღარ უნდა ავირჩიოთ ისეთი ღირსეული ხელისუფლება, რომელსაც კაცური თავმოყვარეობა ექნება და საკუთარი ხალხის გარდა, არავისი შეეშინდება.

აბა, დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა რასა ჰგავს? ტელეეკრანებზე ყველაზე ხშირად ნაცბანდის წევრები ჩანან, რომლებიც ჩვენს მიერ არჩეულ ხელისუფლებას დასცინიან, ემუქრებიან და აპამპულებენ.

ამას წინათ, ერთი ბლანჟეიანი ნაცდეპუტატი პარლამენტის ტრიბუნიდან მთელი ქვეყნის გასაგონად აცხადებდა: ამ ახლების იუსტიციის მინისტრი უდიპლომო ყოფილაო. ამ ტაკიმასხარამ კვალიფიკაცია დაუწუნა საქვეყნოდ ცნობილ სპეციალისტს. არ გინდა ამის მოსმენა!

მავანმა შეიძლება თქვას, თუ არ გინდა, სხვა არხზე გადართე ტელევიზორიო. სად გადართავ? ყველგან ეგენი არიან! საზმაუწყებელი და „რუსთავი-2“ ხომ მთლიანად მაგათია, სხვა არხებს კი ევროპელი დამკვირვებლებისა თუ მოთვალთვალეების ეშინიათ, ნაცბანდის უფლებების შეზღუდვა არ დაგვაბრალონო და ყველაზე მეტ დროს ნაცებს უთმობენ.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, სრულწლოვან ქართველებს, გვაქვს თუ არა უფლება და უნარი იმისა, რომ ჩვენი აწინდელი მდგომარეობა პატივცემული ბუკიკიოსა თუ აპატურაის დაუკითხავად შევაფასოთ! დავიჯეროთ, კატალონიელმა თუ კალიფორნიელმა ექსპერტებმა უკეთ იციან, რა უკეთესად ხარობს ჩემს ბოსტანში ხაშურში? ან ხარობს თუ არა რქაწითელი უშგულში?

ჰო, ბატონო, და მე, ერთი რიგითი ქართველი აწინდელ ჩვენს მდგომარეობას ასე ვაფასებ:

— კრიმინალურ ბანდასთან, რომელიც ყველა სიავესთან ერთად, სამშობლოს ღალატშიც არის შემჩნეული, თანაცხოვრება ანუ „დასავლური“ კოაბიტაცია შეუძლებელია!

— ეროვნულ ტრადიციებსა, ეთნიკურ მენტალიტეტსა და მამაპაპურ სარწმუნოებასთან მებრძოლ ნაცბანდასთან თანამშრომლობა სამშობლოს ღალატია!

ქართული ენის დამცირებაში, უგულებელყოფაში, აბუჩად აგდებაში არაერთგზის შემჩნეულებთან, მამაპაპათა სისხლითა და ოფლით მორწყული და მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით შენარჩუნებული მამულის გასხვისებაში ბრალდებულებთან ლოიალობა დანაშაულია!

ნაცმოძრაობა, როგორც კრიმინალური ბანდა უნდა გასამართლდეს და ამოიძირკვოს ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან! ვინც ამას ხელს შეუშლის, ან არ მოისურვებს, ისიც ნაცბანდის მორალის მატარებელი იქნება, ვინც არ უნდა იყოს იგი, აქაური თუ გადამთიელი!

**ზურაბ ცუცქირიძე**

**P. S. ეს წერილი დაწერილი მქონდა, როცა ჩვენი ტელევიზიების არხებზე ნაცშპანამ და მათმა გამოტვინებულმა მომხრეებმა ერთი ამბავი ატეხეს — „ერისიონმა“ მოსკოვში კონცერტები რატომ გამართაო. ამ, მართლაც ფსიქიკური პრობლემების მქონეთა „არგუმენტებზე“ კომენტარები ფსიქიატრების საქმეა. მე მხოლოდ ერთს ვიტყვი: „მედასავლეთეები“ დღენიადაგ თავქვამირტყმულებივით იმეორებენ — საქართველოს სახლი ევროპაა, ჩვენი სახლი „ნატოა“-ო. საქართველოს სახლი საძებარი არც ჰქონია და არც აქვს, იგი თავის სახლში ცხოვრებას! თქვენ, უსამშობლო და უსახლკაროებმა სადაც გინდათ იქ შერგეთ თავი, თუ გინდათ კვლავაც ნაცში (ნაცმოძრაობაში) დარჩით.**

**„მე ვარ ქართველი,. მაშასადამე ვარ ევროპელი“, — სრული უაზრობაა. მე ვარ ქართველიო რომ იტყვი, მას არავითარი „მაშასადამე“ აღარ სჭირდება. რაც შეეხება ევროპელობას: ევროპა-აზიის საზღვარი კუმა-მანიჩის ღრმულზე გაივლის თუ ქსენია ბიცოლას ბოსტანზე, ამით არც ქსენიას შეგნება შეიცვლება და არც ვანიასი.**

**ზ. ც.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ მოქალაქის პოზიცია

# სამართლის სახლში სიმართლე არ გითხრეს, ბატონო ბიძინა!

**ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ხალხიც ასე ფიქრობს, რომ ბატონ ბიძინას უშუალო საუბარი, დახურულ კარს მიღმა თქმულის ასევე უშუალო ანალიზი, ნათქვამის აღიარება კი არა — არდამალვა და შეფასების სისადავე, საუბრის სტილი — ყოველგვარი დიპლომატიური ხერხების გარეშე — ძალიან გასაგები, ხალხისათვის მისაღები და იოლი მოსასმენია.**

ჩვენ მის შეხვედრებს დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალს, საოცარი ინტერესით კი ვუსმენთ შეხვედრის შემდეგ ბატონი ბიძინას მიერ გაკეთებულ ანალიზს ამა თუ იმ საკითხზე.

ასე იყო ამჯერადაც, როდესაც ბატონი ბიძინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ კუბლაშვილს შეხვდა.

მაგრამ აქ, აზრის გამოთქმამდე ამ შეხვედრის ზოგიერთ დეტალზე უნდა შევჩერდეთ.

მასპინძელი, ანუ უზენაესი სამართლის განმწესებელი, სიამაყით დაჰყვებოდა ბატონ ბიძინას, აჩვენებდა კაბინეტებს, მოვარაყებულ ჭერს, უმშვენიერეს კიბეს თავისი ორნამენტებით, შესანიშნავად შერჩეულ ფანჯრის მასალასთან შეხამებულ ფარდებს, საგანგებოდ შეკერილს, სხდომის დარბაზებს.

თემიდა იდგა და ელოდებოდა, როდის იტყოდა მასპინძელი სიმართლეს იმ გარემოს შესახებ, რამაც აღაფრთოვანა ბატონი ბიძინა: მასპინძლის მეურნეობა დააფასა: გაიხარა, რომ ასეთი მშვენიერი, კარგად შენახული ძვირფასი შენობა და ულამაზესი ინტერიერი აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ამ შენობის არქიტექტურით და კეთილმოწყობით არაერთხელ აღფრთოვანებულა სხვადასხვა დელეგაციის წევრები და სხვანი. თვალსაჩინოებათა შორის ეს შენობა თავისი არქიტექტურით და გამორჩეული ინტერიერით, იმ ქვეყნის უზენაესი სასამართლოა, რომლის მთავრობასაც თვითონ წარმოადგენს ახლა ბატონი ბიძინა!

ბატონი ბიძინა ბუნებით, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან აღმშენებელია. ამიტომ — მან კარგად გათვალა იმ შრომის ფასი, რამაც ეს სილამაზე შექმნა. მოსახლეობამ გაიგონა, როგორ შეაქო ბატონმა ბიძინამ ამ დიდებული სანახაობის პატრონი: „რასაკვირველია, იყო შეცდომები, მაგრამ ძალიან ბევრი რამ არის გაკეთებული"(!!!).

ბატონო ბიძინა! კონსერვატორიაში ფეხის შედგმისთანავე ყურებში ივანიშვილი ჟღერს, რუსთაველის თეატრშიც და ახლა მე ვეცდები ორიოდე სიტყვით მოგიყვეთ იმათ შესახებ, ვინც ეს სილამაზე შექმნა და თქვენც ასე გასიამოვნათ (და ვის შესახებაც არ გამცნოთ ბატონმა კოტემ).

თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ცნობილი არქიტექტორის შიმკევიჩის პროექტით თბილისის გულში აშენდა რუსთაველის თეატრი, კონსერვატორია და უზენაესი სასამართლოს შენობა. ეს შენობები დედაქალაქის ერთგვარი სავიზიტო ბარათებია. ამ შენობებით მნახველს გარკვეული წარმოდგენა ექმნება ქალაქის კულტურულ-ინტელექტუალურ დონეზე.

ძნელია არქიტექტორის მოღვაწეობა იქ, იმ ქვეყანაში, სადაც სვეტიცხოველი, გელათი და სხვა საოცრებებია შექმნილი.

ალექსანდრე შიმკევიჩმა ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადაწყვიტა. მომაღლო ადგილზე წამომართული ნაცრისფერი ქვით მოპირკეთებული მონუმენტური ნაგებობა მეფური სიდარბაისლით გადმოჰყურებს მთაწმინდის უბანს (აშენდა 1894 წელს). იგი იტალიური პალაცოების ფასადთა მოტივებს ემყარება. ამ შენობაში შემსვლელს სამართლის მიღების იმედი უნდა ჰქონდეს — ასე იყო თავიდან გათვალისწინებული!



1921 წლიდან რეჟიმის შეცვლამ შენობას კვალი დააჩნია. ამ შენობაში განთავსებული დაწესებულებების რიცხვმა 17-ს მიაღწია. გადაიტიხრა დარბაზები, ვესტიბიულები, სასამართლო სხდომათა ათი დარბაზიდან სამი დარჩა მხოლოდ. დანარჩენები დაიყო პატარა ოთახებად. შენობა თანდათან განადგურდა. შველას ითხოვდა.

1972 წელს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს ბატონი აკაკი კარანაძე. ენერგიული, ერთგული თავისი საქმის. მან გადაწყვიტა შენობის რესტავრაცია და მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება. ეს ძალიან ძნელი საქმე იყო. ჯერ ჩვიდმეტი დაწესებულება უნდა გაეყვანა.

ბატონი აკაკის მიზანი და სურვილი სკეპტიკოსებმა თამამ ოცნებად მიიღეს, მაგრამ მისმა თავდადებამ და პრინციპულობამ იმძლავრა.

1973 წელს შენობა მთლიანად დაიბრუნეს და დაიწყო კოლოსალური მოცულობითი სამუშაო.

ფაქტობრივად, პირველიდან მეექვსე სართულამდე ახლიდან მისი აღდგენა შეიქნა საჭირო. ძვირფასი სამშენებლო მასალებისა და პროფესიონალი ოსტატების გარდა, ეს საქმე საჭიროებდა ისეთ ორგანიზატორულ ნიჭს, რაც ბატონმა კაკომ თავის ახალგაზრდა, ენერგიულ თანამშრომელში — ჯიმი ყიფიანში აღმოაჩინა და დაავალა რესტავრაციის ხელმძღვანელობა.

ბატონო ბიძინა! ეს არ იყო შრომა! ეს იყო თავდადება, თავგანწირვა, შედეგის მოლოდინი. პასუხისმგებლობის უმაღლესი განცდა, დღე-ღამის გასწორება, მხატვარ-რესტავრატორებთან ყოველდღიური კონსულტაციები. ბატონი აკაკი კარანაძეს არც ერთი კუთხე, დარბაზი თუ ვესტიბიული მისი რჩევის გარეშე არ დაუმთავრებია.

მისმა გემოვნებამ, ჯიმი ყიფიანის ერთგულმა თანადგომამ და აგრეთვე ესთეტიზმმა თავისი შედეგი ბრწყინვალედ გამოაჩინა.

ბატონო ბიძინა! ის გრანიტით მოპირკეთებული ვესტიბიულები, საუკეთესო ნიმუშებით მოხატული კედლები, ჭერში მოთავსებული თემიდას ფერწერული გამოსახულება — სამართლის სიმბოლო, ბაროკოს სტილის ბრები — ეს ყველაფერი სწორედ ამ ორი ადამიანის შემოქმედების შედეგი იყო (რასაკვირველია, მთელი კოლექტივის მონაწილეობით).

თქვენ შეაფასებდით სხდომათა დარბაზებს, კიბის მდიდრულ იერს, მეორე სართულის წაბლისფერისა და მეოთხე სართულის უფრო ნაზი ფერების განსხვავება-შეხამებას.

ქართული მარმარილოთი მოპირკეთებული ვესტიბიულის სვეტების ცენტრში თეთრ კვარცხლბეკზე დგას შავ-თეთრი სფერო (დაიდგა სასახლის 100 წლისთავთან დაკავშირებით). ეს არის სიმბოლური მითითება სიკეთისა და ბოროტის მარადიული ბრძოლის. იმ ოქროსფერ სარტყელზე, რომელიც გარს არტყია სფეროს, აწერია შოთას სიტყვები: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". ეს თაღის ქვეშ დადგმული სიმბოლური ბურთი ბატონი მინდია უგრეხელიძის იდეა იყო. იგი ამ დროს უზანესი სასამართლოს თავმჯდომარე გახლდათ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან შემდგომი 10 წელი ბ-ნ მინდია უგრეხელიძისა და ბ-ნ ჯიმი ყიფიანის სიმართლისა და სამართლიანობის დადგენა ამ სასახლეში — ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში გამორჩეული პერიოდი იყო. ეს ცალკე თხრობის საგანია.

ბატონო ბიძინა, დამეთანხმებით, ყველაფერი, რაც ასეთი სიკეთითა და გემოვნებით არის გაკეთებული და რამაც ასე მოგხიბლათ — ბატონ კოტეს დახვდა! კიდევაც გამოჩნდა, როგორ ამაყად გიჩვენებდათ ყველაფერს. ცნობილია, რომ ასეთი კედლები ზემოქმედებენ ადამიანზე — ასეც მოხდა, თქვენც შეძელით ამის შეფასება და ბატონ კოტეს დიდი მადლიერებით მიაწერეთ ყველაფერი.

სიამოვნებით ათვალიერებდით იქაურობას, ულიმოდით ბატონ უზენაეს მოსამართლეს და გუნებგანწყობაც შესატყვისად კარგად გქონდათ. თქვენ გიხარიათ ყველაფერი კეთილი — შენებაც და შენობაც.

რა მოუვიდა თემიდას? რატომ გაახილა თვალები და გაკვირვებით უყურებდა ამ საპატიო სტუმრის მიღებას და ისმენდა ისეთ საუბარს, რასაც სამართალთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. თემიდა ელოდა სიმართლეს, რაც თუნდაც იმ კიბეებზე მაინც უნდა თქმულიყო. აი ასეთი თავდაუზოგავი შრომა დასჭირდათ ბატონ კაკოს, ბატონ მინდიას, ბატონ ჯიმის და მთელ იმდროინდელ კოლექტივს, რომ თქვენ სიამოვნებით გეთქვათ: „ბევრი რამ გაუკეთებია, ძალიან უშრომია, უნდა დარჩეს თავისი ვადის ბოლომდე" (ბ-ნი კუბლაშვილი).

თქვენ მოგხიბლათ იქაურობამ, ნამდვილად კედლები ზემოქმედებენ, თქვენც მოიხიბლეთ და დაგავიწყდათ, რომ ეს ის უზენაესი სამართლის სახლია, სადაც უამრავი უსამართლო განაჩენი რჩებოდა ძალაში და, რაც მთავარია, თქვენ, საპატიო სტუმარს, მუდმივ აღმშენებელს, სიმართლე არ გითხრეს, არ აღიარეს სამართლის სასახლეში.

**თამილა მაკარიძე**

◉ წკეპლიკა

# ჩვენო გრძელო ბიჭო, ამდენს რატომ გიჟობ?

**ამ ბოლო დროს ფრიად „ციტირებადი" გახდა, ტელეეკრანზე თუ მის გარეთ, მტირალი ბავშვის ამბავი, ერთობ ჭკუამახვილური და ცხოვრებაში მართლაც ხშირად შესახვედრი: რომ ჰკითხეს, რატომ ტირიო — გამდის და ვტირიო. ახლა წარმოიდგინეთ, ვადაგასული პრეზიდენტისთვის რომ ეკითხათ: — მიშა, ამდენს რატომ გიჟობო — გამდის და ვგიჟობო, ხომ იქნებოდა შესაფერი პასუხი!**

აქვე სათქმელად, მეორე ვარიანტის შემოთავაზებაც შეიძლება: — მიშა, ამდენ სისულელეს რად სჩადიხარო — გამდის და ჩავდივარო... დიახ, გასდის, ტყუილებიც, ბაქიობაც, დემაგოგიაც... მარტო ბოლო ორიოდე კვირის (ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, 4 მარტი „იწვის, დნება... და ეგ ორკვირიანი ხანა უკან უნდა ავთვალოთ...) მოვლენები რომ ავიღოთ, სამი გიჟური გამოხდომა გამოუდის და ბევრი ხომ არ არის ნაპირველპირალის პირიდან ორი კვირის სიგრძეზე!

**გამოხდომა პირველი:** ქართული ბანკები საზიზღარმა რუსეთმა შეისყიდაო, თან ისეთი შეცხადებით „გამოხდა", თითქოს თვითონ არაფერი არ მიეყიდოს ჩრდილოელი მეზობლისათვის (ეს გრძელის საყვარელი გეოგრაფიული ცნებაა!); არადა, განცხადებიდან მეორე დღესვე მოუწია ამ დახეთქების უარყოფა (რასაც, საერთოდ, იშვიათად აკეთებს). თავად გრძელფეხებას, დაავიწყდა, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აბია — ამ შემთხვევაში „მოკლეობა" დღეღამიანზე ნაკლები აღმოჩნდა...

**გამოხდომა მეორე:** მეგობრული აზერბაიჯანიდან სულ ახლახან დაბრუნებულმა, იქ ახლად ნაპურმარილევმა (თუ ნაპურღვინოებმა), ის მეზობელი ქვეყანა ისე ბრიყვულად გაიყვანა რუსეთთან „საქმეში", რომ ილხამ ალიევის მაღალჩინოსანმა ნათქვამი პირად მოსაზრებად ჩაუთვალა — ოფიციალურ გამოსვლაში!

სხვათა შორის, ორივე ეს „მონოლოგი" მისი უგრძესობისა ისე გიჟური, ისე სკანდალური, ისე შეუფერებელი გამოდგა პრეზიდენტობის დამჩემებელი პირისათვის, რომ ეგებ იმპიჩმენტს ყოფნოდა კიდევაც...

**გამოხდომა მესამე** (გიჟობასთან ერთად, კომიკურობის თანმხლებიც): — დაცვაზე უარის თქმა და ელემობილის საჭესთან მიჯდომა. — არ მინდა დაცვა, მე სანდრა დამიცავსო (მეუღლეზე თქვა, რულოვსზე). საჭადრაკო თეორიაში (დებიუტები) ცნობილია: ფრანგული დაცვა, ფილიდორის დაცვა, ალიოხინის დაცვა... ახლა მათ სანდრა რულოვსის დაცვაც მიემატა, მიხეილ სააკაშვილის შემოღებული და შემოთავაზებული.

წერდა, გვაფრთხილებდა ახლახან „სრ" — ეს კაცი ოქტომბრამდე კიდევ ბევრ სიგიჟეს მოასწრებსო. ასწრებს კიდევაც... წარმატებით... ასე რომ, ოქტომბერში თუ ჩვენ მხარეს ჩაივლით, მაგის სიგიჟეებს შეამჩნევთ, მიმობნეულს მინდორ-ველად...

— წადი ახლა, რაჟა, ბიძიკო, შენ გზაზეო, — უთხრა დათა თუთაშხიამ, თუ გახსოვთ, რაჟა სარჩიმელიას... გაუგონა რაჟამ... წავიდა...

— წადი ახლა, ბიძიკო მიშიკო, შენ გზაზე-მეთქი, ვეტყოდი, დათა რომ ვიყო, გრძელოს, მაგრამ გამიგონებს?..

**ეგებ ლექსად ვსინჯო,**
**შეისმინოს ვინძლო:**
**ჩვენო გრძელო ბიჭო,**
**ასე რომ სულ გიჟობ,**
**ყველას სასიკეთოდ**
**წასვლა ხომ არ გიჯობს?..**

**ბერდია ბედოიძე**

◉ ინფორმაცია

## ელექტროენერგიის ტარიფი შეიძლება კიდევ შემცირდეს

**ამის შესახებ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ ილია ელოშვილმა განაცხადა.**

**მისივე განმარტებით, პირველი აპრილიდან სახელმწიფოსა და ენერგოკომპანიებს შორის უფრო გრძელვადიანი, 2-დან 4 წლამდე მემორანდუმები ამოქმედდება.**

**მინისტრის მოადგილე ამ ეტაპზე არ აკონკრეტებს, კიდევ რამდენი თეთრით შეიძლება მოხდეს ელექტროენერგიის საფარუსის შემცირება, თუმცა, აღნიშნავს, რომ ეს „დიდი მოცულობით არ მოხდება".**

**რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შესაძლოა, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ სეზონური ტარიფები დააწესოს, ელოშვილის განცხადებით, ჯერ აღნიშნულზე საუბარი არ მიმდინარეობს.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# 4. ახალი რომპაპის მოლოდინი

დღეს, 12 მარტს, რომში, სიქსტის კაპელაში კარდინალთა კონკლავი შეიკრიბება 266-ე რომპაპის ასარჩევად. 1996 წელს იოანე-პავლე II-ს მიერ დაწესებული ასაკობრივი ლიმიტის თანახმად, კონკლავში მხოლოდ იმ კარდინალებს შეუძლიათ მონაწილეობა, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 80 წელი. ასეთი კი რომის კათოლიკური ეკლესიის 207 კარდინალს შორის 117-ია. ამათგან ორი კარდინალი – კონკლავში მონაწილეობას ვერ მიიღებს: ინდონეზიელი იულიუს რიადი დარმაატმაჯა, რომელიც 78 წლისაა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ჩადის რომში; ხოლო 2005 წლის ერთ-ერთი პაპაბილი, შოტლანდიის კათოლიკური ეკლესიის მეთაური, ედინბურგის არქიეპისკოპოსი კეით ო'ბრაიენი 18 თებერვალს გადადგა 80-იან წლებში ღვთისმსახურთა მიმართ არასათანადო მოპყრობაში ბრალდების გამო. ასე რომ, რომში ხმის მისაცემად 115 კარდინალი შეიკრიბება, რომლებიც 48 ქვეყანას წარმოადგენენ. ახალი რომპაპის ასარჩევად ხმოსანთა ორი მესამედის მხარდაჭერა, ანუ 77 ხმაა საჭირო.

ბენედიქტე XVI-ის გადადგომისთანავე დაიწყო აზრთა გახურებული აღებ-მიცემობა რომპაპობის შესაძლო კანდიდატებზე – პაპაბილებზე. საერთოდ, კათოლიკური ეკლესიის კანონიკური სამართლის მიხედვით, რომპაპი შეიძლება ნებისმიერი მონათლული კათოლიკე მამაკაცი გახდეს, მაგრამ, როგორც წესი, ყოველ შემთხვევაში – 1378 წლიდან, მას კარდინალთა რიგებიდან ირჩევენ.

თუმცა კანონიკური სამართლით, რომპაპად შეიძლება აირჩიონ კარდინალი არა მხოლოდ კონკლავის მონაწილეთაგან, არამედ იმათგანაც, ვისაც ასაკის გამო კონკლავზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლება არა აქვთ, ვატიკანოლოგები ფიქრობენ, რომ წლევანდელ არჩევნებში ნაკლებსავარაუდოა ხანდაზმული კარდინალის არჩევა.

ექსპერტთა აზრით, მომავალი პაპი შედარებით ახალგაზრდა, პოლიგლოტი, კარგი სტრატეგი და ადმინისტრატორი უნდა იყოს. ამავე დროს ახალი პონტიფიკოსი უნდა შეეცადოს, რეფორმები გაატაროს ვატიკანის კურიაში, რომელიც ინტრიგებით არის დამუხტული და რომლის გამჭვირვალობას ითხოვენ ლიბერალი მღვდელმთავრები.

ერთი ცხადია: მომავალი პაპი უეჭველად კათოლიკე მამაკაცი იქნება.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ახალი რომპაპი წინა ორის გზის გამგრძელებელი იქნება. მემკვიდრეობითობას უზრუნველყოფს ის ფაქტი, რომ კარდინალთა დღევანდელ კრებულში ორის გარდა ყველა იერარქი იოანე-პავლე II-ისა და ბენედიქტე XVI-ის მიერ არიან აღყვანილი კარდინალის ხარისხში.

კონკლავის მონაწილენი მოწყვეტილი არიან გარე სამყაროს. არა პრესა, არა რადიო, არა ტელეფონი, არა ტელევიზორი. ახლა ამ აკრძალვებს ინტერნეტიც დაემატა. კონკლავის პერიოდში სიქსტის კაპელის კარი ამოშენებულია და წყალსა და საკვებს სპეციალური ღიობიდან აწვდიან კარდინალებს.

თუ 33 ან 34 ტურის შემდეგ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს საჭირო ორ მესამედს, დაინიშნება დამატებითი ტური, რომელშიც ხმების მაქსიმალური რაოდენობის მქონე ორი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას და მათ შორის გამარჯვებული ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოვლინდება. თავად კანდიდატებს ამ დროს ხმის უფლება ჩამორთმეული აქვთ, რადგან შედეგი შეიძლება ერთი, ერთადერთი ხმით გადაწყდეს.

არ არსებობს პაპაბილების ოფიციალური სია. ყველა ექსპერტი თავის ფავორიტებს ასახელებს, ყველა საინფორმაციო საშუალებას პაპაბილთა თავისი სია აქვს. გასული საუკუნის გამოცდილება აჩვენებს, რომ გამარჯვებული შეიძლება სულაც არ იყოს მოხსენიებული პაპაბილთა რიცხვში. XX საუკუნეში პაპაბილი მხოლოდ სამჯერ აირჩიეს რომპაპად, ხუთჯერ კი რომპაპი მოულოდნელი კანდიდატი, არაპაპაბილი გახდა.

ბენედიქტე XVI-ის გადადგომის შემდეგ ყველაზე ხშირად რომპაპობის პოტენციურ კანდიდატებად 18 კარდინალი სახელდება. ქვემოთ მათ ასაკის მიხედვით ჩამოვთვლით და ასაკს ფრჩხილებში მივუთითებთ ქვეყანასთან ერთად:

**ანჯელო სოდანო** (იტალია, 85). კარდინალთა კოლეგიის დეკანი, რომელმაც ამ პოსტზე იოზეფ რატცინგერი შეცვალა მისი რომპაპად არჩევის შემდეგ; იყო ვატიკანის სახელმწიფო მდივანი ორი პაპის ხელში 1990-2006 წლებში; პაპაბილი იყო 2005 წელსაც.

**ფრენსის არინძე** (ნიგერია, 80). ღვთისმსახურებისა და საღვთო საიდუმლოთა დისციპლინის კონგრეგაციის პრეფექტ-ემერიტუსი; რელიგიათშორისი დიალოგის საპონტიფიკოსო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე; კარდინალია 1985 წლიდან; პაპაბილი იყო 2005 წელსაც.

**ტარჩიზიო ბერტონე** (იტალია, 78). ვატიკანის სახელმწიფო მდივანი. პაპაბილი იყო 2005 წელსაც.

**ხორხე ბერგოლიო** (არგენტინა, 76). ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსი; პაპაბილი იყო 2005 წელსაც.

**ანჯელო სკოლა** (იტალია, 71). მილანის არქიეპისკოპოსი; იტალიელთა ფავორიტი; ბიოეთიკის ექსპერტი; აქვს საუკეთესო კავშირები მუსულმანურ სამყაროსთან; არის ისლამურ-ქრისტიანული ურთიერთგაგების გაფართოების ფონდის ხელმძღვანელი; პაპაბილი იყო 2005 წელსაც.

**ოსკარ როდრიგეს მადარიაგა** (ჰონდურასი, 70). ტეგუსიგალპის არქიეპისკოსოსი; კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციების საერთაშორისო სათავო ჯგუფის „კარიტასის" პრეზიდენტი; პაპაბილი იყო 2005 წელსაც.

**ანჯელო ბანიასკო** (იტალია, 70). გენუის არქიეპისკოპოსი; ცნობილია, როგორც უმაღლესი დონის ინტელექტუალი; იტალიელ ეპისკოპოსთა კონფერენციის პრეზიდენტი.

**ჯანფრანკო რავაზი** (იტალია, 70). რომპაპის კულტურის საბჭოს ხელმძღვანელი; წარმოადგენს კათოლიკურ ეკლესიას საერთაშორისო კულტურულ, სამეცნიერო და სახელოვნებო აქტივობებში; ბენედიტე XVI-ის დავალებით უძღვებოდა კარდინალთა ყოველწლიურ შეკრებებს.

**ლეონარდო სანდრი** (არგენტინა, 69). ვატიკანის აღმოსავლეთის ეკლესიათა კონგრეგაციის ხელმძღვანელი; ვატიკანის ყოფილი ნუნციოსი ვენესუელასა და მექსიკაში.

**მარკ ულე** (კანადა, 68). კვებეკის ყოფილი არქიეპისკოპოსი; ვატიკანის ეპისკოპოსთა კონგრეგაციის პრეფექტი; პონტიფიკოსის ლათინურამერიკული კომისიის ხელმძღვანელი; შესანიშნავი კავშირები აქვს რომის კურიასა და ვატიკანის ბიუროკრატიულ აპარატში; ცნობილი თეოლოგი.

**რობერტ სარა** (გვინეა, 67). რომპაპის საბჭოს „კორუნუმის" („ერთიანი გულის") პრეზიდენტი; 9 წლის განმავლობაში იყო ვატიკანის ხალხთა ევანგელიზაციის კონგრეგაციის ხელმძღვანელი.

**ქრისტოფ შონბორნი** (ავსტრია, 67). ვენის არქიეპისკოპოსი; ბენედიქტე XVI-ის ყოფილი მოწაფე; პაპაბილი იყო 2005 წელსაც.

**ჟოაო ბრაზ დე ავიზი** (ბრაზილია, 65). ვატიკანის რელიგიურ ორგანიზაციათა კონგრეგაციის ხელმძღვანელი; კარდინალია 2012 წლიდან.

**პიტერ ტურკსონი** (განა, 64). ვატიკანის სამართლიანობისა და მშვიდობის ბიუროს ხელმძღვანელი; ასოცირდება ეკლესიის სოციალურ პროგრამებსა და ფინანსურ რეფორმებთან. აფრიკელთა ფავორიტი.

**ოდილო პედრო შერერი** (ბრაზილია, 63). ყველაზე დიდი კათოლიკური ქვეყნის ყველაზე დიდი ეპარქიის, სან-პაულუს ერქიეპისკოპოსი; თეოლოგიის დოქტორი.

**ტიმოთი დოლანი** (აშშ, 62). ნიუიორკის ქარიზმატული არქიეპისკოპოსი; კარდინალია 2012 წლიდან.

**პეტერ ერდო** (უნგრეთი, 60). ბუდაპეშტის არქიეპისკოპოსი და უნგრეთის პრიმასი; ევროპის ეპისკოპოსთა საბჭოს პრეზიდენტი.

**ლუის ტაგლე** (ფილიპინები, 55). მანილის არქიეპისკოპოსი; ქარიზმატულობით ხშირად ადარებენ იოანე-პავლე II-ს; კარდინალია 2012 წლიდან; არის მეორე ყველაზე ახალგაზრდა კარდინალი დღევანდელ შემადგენლობაში და ყველაზე ახალგაზრდა პაპაბილი.

თუმცა კონკლავის წინ კარდინალები თავს არიდებენ კომენტარებს, რამდენიმე მათგანმა მაინც მისცა ინტერვიუ ჟურნალისტებს. სიდნეელი კარდინალი ჯორჯ პელი, მაგალითად, მიიჩნევს, რომ ასაკი შეიძლება გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს წლევანდელი არჩევნებისას. ასევე ფიქრობს კიოლნელი კარდინალი იოაჰიმ მაისნერი. თუმცა პელისგან განსხვავებით, რომლის აზრით, მომავალი რომპაპი 77-78 წლისა იქნება, იგი თვლის, რომ გამარჯვებული დაახლოებით 70 წლის კანდიდატი უნდა იყოს, ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე. მისი აზრით, იდეალური იქნება კაროლ ვოიტილასა (იოანე-პავლე II) და იოზეფ რატცინგერის (ბენედიქტე XVI) ნაერთი. ასეთი კი ჯანფრანკო რავაზი გახლავთ, შესანიშნავი ორატორი, უაღრესად განათლებული და კომუნიკაბელური, რომელსაც ხშირად ადარებენ ერთსაც და მეორესაც. მაგრამ, როგორც ამბობენ, მას ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს.

ზოგი ექსპერტი ფიქრობს, რომ ახალი რომპაპი კიდევ უფრო ახალგაზრდა იქნება. ასეთ შემთხვევაში მომავალი პონტიფიკოსი ტაგლეს, ერდოს, დოლანს, შერერს, ტურკსონსა და ავიზს შორის არის საგულვებელი.

რომპაპის არჩევისას ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ენების ფლობა იქნება. წინა ორმა რომპაპმა საკუთარი მაგალითით დაამტკიცა, რაოდენ მნიშვნელოვანია პონტიფიკოსისთვის ენების ცოდნა. სულ ცოტა, აუცილებელია იტალიური (ვატიკანის ოფიციალური და რომის კურიის სამუშაო ენა) და ინგლისური (კათოლიკეთა დიდი ნაწილის პირველი ან მეორე ენა). მნიშვნელოვანია ესპანურიც, რომელზეც მრავალი მილიონი კათოლიკე ლაპარაკობს. ენების ცოდნას ყურადღება ექცევა იმიტომაც, რომ ყოველ ხმოსან კარდინალს ურჩევნია, თავის მშობლიურ ენაზე ეკონტაქტოს რომპაპს. ენების ცოდნის მხრივ პაპაბილთაგან გამორჩეულია განელი კარდინალი პიტერ ტურკსონი. მშობლიური ფანტის გარდა, იგი თავისუფლად ფლობს ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურს, გერმანულსა და ივრითს; გარდა ამისა, ესმის ლათინური და ბერძნული. ტურკსონი თანამედროვეობის ერთ-ერთი სახელიანი პოლიგლოტია, თუმცა იგი ჩამოუვარდება იოანე-პავლე II-ს, რომელიც 11 ენაზე ლაპარაკობდა და ახლოსაც ვერ მივა კარდინალ ჯუზეპე მეცოფანტისთან (1774-1849), რომელიც 40-მდე ენას ფლობდა. კონკლავის დღევანდელი შემადგენლობიდან პოლიგლოტად ითვლება ჰონდურასელი კარდინალი მადარიაგაც.

თუმცა პერუელი არქიეპისკოპოსი ხუან ლუის ტორნა ფიქრობს, რომ წლევანდელ არჩევნებზე ნაკლებმნიშვნელოვანი იქნება პოლიტიკური თუ გეოგრაფიული ფაქტორები, საინტერესოა რა სურათია კონკლავზე გეოგრაფიის თვალსაზრისით: იტალიას წარმოადგენს 28 კარდინალი, დანარჩენ ევროპას – 32. ამერიკას 33 კარდინალი ჰყავს, აქედან 19 სამხრეთ ამერიკას წარმოადგენს. აფრიკას კონკლავზე 11 წარმომადგენელი ეყოლება, აზიას – 10, ხოლო ავსტრალიას და ოკეანიას – ერთი. აშშ კონკლავზე 11 კარდინალით იქნება წარმოდგენილი, ბრაზილიასა და გერმანიას 6-6 ხმოსანი ეყოლება, ესპანეთს – 5.

პირველად ისტორიაში კონკლავზე სერიოზული კონკურენცია იქნება ევროპელ და არაევროპელ კანდიდატთა შორის და ბევრი დამკვირვებელი თვლის, რომ ეს კონკურენცია შეიძლება ევროპელთა დამარცხებით დასრულდეს. არის მოლოდინი, რომ რომის მრავალსაუკუნოვან კათოლიკურ ეკლესიას შეიძლება პირველი შავკანიანი მეთაური მოევლინოს. მათ შორის უპირატესობა განელ ტურკსონს ენიჭება. შავკანიანი რომპაპის არჩევა ბარაკ ობამას ორგზის გამარჯვების შემდეგაც კი დიდი სენსაცია იქნება, მაგრამ გლობალიზაციის დღევანდელი დონე და „ახალი" ეკლესიების სურვილი, თავიანთი მრევლის რაოდენობის შესაბამისი ადგილი დაიკავონ კათოლიკური ეკლესიის მართვა-გამგეობაში, ტურკსონის კანდიდატურას რეალურს ხდის.

კანდიდატის წარმომავლობა პრინციპული საკითხია. ბოლო ორი კონკლავი იტალიელებმა წააგეს. ახლა კონკლავში 28 იტალიელია და, რა თქმა უნდა, ისინი შეეცდებიან, დაიბრუნონ წმინდა პეტრეს ტახტი, რომელიც აგერ, უკვე 35 წელიწადია, უცხოელებს უპყრიათ. თუ ისინი გაერთიანდებიან მათსავით კონსერვატორ ესპანელებთან და ფრანგებთან, რომელიმე იტალიელის გარომპაპების შანსი საკმაოდ მაღალი იქნება. მთავარია, შეთანხმდებიან თუ არა, იტალიელები ერთ კანდიდატზე. წინა ორი კონკლავი, მათ, როგორც ჩანს, იმადაც წააგეს, რომ ერთი პირი არ ჰქონიათ. თუ წელს რომელიმე იტალიელს რომპაპობა უწერია, ეს ან სკოლა უნდა იყოს, ან რავაზი.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ინგლისურენოვანი ქვეყნების მხარდაჭერის მიუხედავად, შანსები ფაქტობრივად არა აქვთ ამერიკელებს. მღვდელმსახურთა სექსუალური სკანდალები ამერიკაში ყველაზე მასშტაბური იყო. ის, რომ სექსუალური სკანდალების თემა გავლენას იქონიებს რომპაპის არჩევნებზე, იქიდანაც ჩანს, რომ ამერიკის კათოლიკურმა ასოციაციამ მოითხოვა, არ დაუშვენ კონკლავზე 75 წლის კარდინალი, ლოს-ანჯელესის არქიეპისკოპოს-ემერიტუსი როჯერ მაჰონი, რომელსაც 127 ბავშვის გახრწნის ფაქტების დამალვა ბრალდება და ჯერჯერობით მოწმედ გადის სექსუალური სკანდალის საქმეზე.

სექსუალური სკანდალების გარდა, ანალიტიკოსთა აზრით, კონკლავის შედეგზე აირეკლება ვატილიკსის სკანდალიც, რომელსაც, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ხშირად ასახელებენ ბენედიქტე XVI-ის გადადგომის მთავარ მოტივად.

კონკლავზე ხმოსნები გაითვალისწინებენ თითოეული კანდიდატის დამოკიდებულებას თანამედროვე კათოლიკური ეკლესიის ისეთ პრობლემურ საკითხებთან, როგორიც არის აბორტები, განქორწინებანი, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებანი, ერთსქესიანი ქორწინებები, ევთანაზია...

ამ ყველაფერის გათვალისწინებით, ვატიკანოლოგები ჩრდილოამერიკელთაგან უპირატესობას ანიჭებენ კანადელ კარდინალ მარკ ულეს, რომელსაც, ერთი მხრივ, ინგლისურენოვანი ქვეყნების მხარდაჭერას უწინასწარმეტყველებენ, მერე მხრივ – ფრანგულენოვანი ქვეყნებისას და იმასაც დასძენენ, რომ არ არის გამორიცხული, მას ხმა სამხრეთამერიკელებმაც მისცენ.

არც თავად სამხრეთამერიკელთა პერსპექტივაა ნაკლები. თუ პირველად ისტორიაში რომპაპი არაევროპელი იქნება, ყველაზე მეტი შანსი ალბათ სწორედ სამხრეთამერიკელებს აქვთ. ხოლო მათგან ყველაზე რეალური კანდიდატი, ალბათ მაინც არგენტინელი ლეონარდო სანდრი იქნება, არგენტინელი, მაგრამ ეთნიკური იტალიელი, რომელიც იტალიელ კარდინალთა ურთიერთდაპირისპირების შემთხვევაში, შეიძლება კომპრომისულ და ყველასათვის მისაღებ ფიგურად იქცეს. ასეთივე ფიგურა ევროპელთათვისაც და (სამხრეთ)ამერიკელთათვისაც შეიძლება იყოს გერმანული წარმომავლობის ბრაზილიელი კარდინალი შერერი. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ თავისთავად მართლა წონიან ბრაზილიელ კანდიდატებს ამ ქვეყანაში ბოლო პერიოდში პროტესტანტების სწრაფი და განუხრელი ზრდა „აპატიონ".

არ არის გამორიცხული, ეს კონკლავი, რომელიც, რაც არ უნდა იყოს, ცოცხალი რომპაპის პიროებებში ტარდება, ერთგვარი რეპეტიცია, გენერალური ბრძოლის წინ ძალთა ერთგვარი დათვალიერება გამოდგეს და კარდინალებმა 80-ს გადაცილებული რომელიმე კანდიდატი აირჩიონ იმ იმედით, რომ მისი ხანმოკლე პონტიფიკატის პიროებებში ძალები გადააჯგუფონ და უფრო ახალგაზრდა რომპაპი აირჩიონ მომდევნო, უკვე ხანგრძლივი და კომფორტული პონტიფიკატისათვის.

ასეთ შემთხვევაში შეიძლება რომელიმე აუტსაიდერი კარდინალი „გამოხტეს", ვთქვათ, 81 წლის ჩინელი ჯოზეფ ძენ ძეკიუნი, ჰონკონგის მეექვსე არქიეპისკოპოსი, უფლებადამცველი და პოლიგლოტი.

ან სულაც შეიძლება იტალიელებმა აქ მაინც იმარჯვონ და ასეთ შუალედურ ვარიანტად 85 წლის ანჯელო სოდანო ან 79 წლის ჯოვანი რე გაიყვანონ. სხვათა შორის, თითოეულმა მათგანმა სამ-სამი ენა იცის და რომის კურიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

ხოლო მესამე სამყაროს წარმომადგენლებმა შესაძლოა, ასეთ შემთხვევაში ტურკსონს „ქართული" გვარის მქონე 80 წლის ნიგერიელი არენძე ამჯობინონ.

გუშინ კარდინალებმა კონკლავის საიდუმლოს გაუმჟღავნებლობის ფიცი დადეს. დღეს კი ისინი სიქსტის კაპელაში ჩაკეტეს.

თუ თავად არ იქნება არჩეული რომპაპად, გამარჯვებულის ვინაობას წმინდა პეტრეს ტაძრის წინ შეკრებილ ხალხს ფრანგი კარდინალი-პროტოდიაკონი ჟან-ლუი ტორანი ამცნობს. ტრადიციისამებრ, თავიდან იგი წარმოთქვამს ლათინურ ფრაზას – „Annuntio vobis laetitiam magnam: habemus Papam" (გაუწყებთ დიდად სასიხარულო ამბავს: ჩვენ გვყავს რომპაპი!"), შემდეგ შეკრებილთ გამოუცხადებს არჩეული რომპაპის ნათლობის სახელს და ბოლოს – იმ სახელს, რომელიც მან თავისი პონტიფიკატისთვის აირჩია.

შეიძლება ეს დღეს საღამოსვე მოხდეს.

**პაატა ნაცვლიშვილი**








**სურათებზე: რომპაპობის ყველაზე რეალური კანდიდატები (მარჯვნიდან მარცხნივ): ანჯელო სკოლა, ჯანფრანკო რავაზი, პეტერ ტურკსონი, მარკ ულე, ლეონარდო სანდრი, ქრისტოფ შონბორნი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**საქართველოში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და პრემიერ ბიძინა ივანიშვილს შორის დაპირისპირების ნახევარი წლის განმავლობაში ოპონენტები პირველად მივიდნენ ერთობლივ შეთანხმებასთან მნიშვნელოვან საკითხზე. საქართველოს პარლამენტმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია „საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ", რომელშიც დაადასტურა ნატოსა და ევროკავშირში შესვლის კურსის მემკვიდრეობითობა. უფრო მეტიც, დოკუმენტში შეიტანეს პუნქტი, რომელიც არსებითად გამორიცხავს საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას: ამან შეიძლება წერტილი დაუსვას მოსკოვსა და თბილისს შორის სიტუაციის მალე ნორმალიზებას. სხვათა შორის, ექსპერტებს არ სურთ ზედმეტად გადააფასონ რეზოლუცია.**

# საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობანი აუკრძალეს

### ქვეყნის პარლამენტმა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები განსაზღვრა



კენჭისყრა რეზოლუციაზე „საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ" მოეწყო გასული კვირის ბოლოს. დოკუმენტს მხარი დაუჭირა პარლამენტის ყველა იქ მყოფმა 96-მა დეპუტატმა, რითაც გამოხატეს თავიანთი ერთსულოვნება, რაც არ იყო დამახასიათებელი კოალიცია „ქართული ოცნებისა" და საპრეზიდენტო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატებისთვის.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანებად ცხადდება „უშიშროების გარანტიების შექმნა; დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის დაცვა; ტერიტორიების დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში". ნატოსა და ევროკავშირში შესვლა — კვლავინდებურად „ძირითადი პრიორიტეტებია". რეზოლუციის თანახმად, საქართველო გააგრძელებს მოლაპარაკებას ნატოსთან და ევროკავშირთან სრულუფლებიანი წევრობის „მოდალობასა და ვადებზე". ჯერჯერობით კი მას განზრახული აქვს „გააგრძელოს მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობისმყოფო, პოლიციურ და სამოქალაქო ოპერაციებში". „მხედველობაში გვაქვს ჩვენი შემდგომი მონაწილეობა ნატოს ოპერაციებში ავღანეთში 2014 წლის შემდეგ", — აგვიხსნა პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა.

რეზოლუციაში ამერიკის შეერთებული შტატები დასახელებულია, როგორც „სტრატეგიული მოკავშირე", ვისთანაც საქართველო „განავითარებს ურთიერთობებს იმ პირობების თანახმად, რომლებიც განსაზღვრულია 2008 წელს ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით". მათ შორის „თავდაცვისა და უშიშროების სფეროში — საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობათა გაძლიერებისა და ნატოში შესვლის მომზადებისთვის".

დოკუმენტის 19 პუნქტიდან რუსეთი პირდაპირ ან ირიბად ნახსენებია მხოლოდ სამში. მაგალითად, თბილისი გააგრძელებს დიალოგს მოსკოვთან „კონფლიქტის მოწესრიგების, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისა და მათი განვითარების" მიზნით. ვარაუდობენ, რომ პროცესი მოხდება „ჟენევაში საერთაშორისო მექანიზმებისა და ორმხრივი ფორმატის" ფარგლებში. პრემიერის თანამებრძოლების მიერ შემოთავაზებული თეზისის ნაცვლად იმის შესახებ, რომ თბილისი „არ შეეცდება გახდეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის დაპირისპირების მიზეზი", საბოლოო ვარიანტში გაჩნდა ჩანაწერი: „საქართველო ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და რუსეთის პოზიციების დაახლოებას სამხრეთ კავკასიაში ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებისა და ჰელსინკის შეთანხმების პრინციპების შესაბამისად".

მაგრამ მთავარი — ეს არის რეზოლუცია, რომელიც, არსებითად, კრძალავს რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას. „საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობანი სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას", — ნათქვამია დოკუმენტში. ეს პუნქტი ასევე გამორიცხავს საქართველოს ასეთ ქვეყნებთან „სამხედრო პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირებში შესვლის შესაძლებლობას". დეპუტატები არ მალავენ, რომ საკითხი შეეხება დსთ-ს, ევრაზიურ და საბაჟო კავშირებს. „ჩვენ შევთავაზეთ კოლეგებს პირდაპირ ჩამოთვალონ ეს ორგანიზაციები, რომლებიც იქმნება რუსეთის დომინირებული გავლენის ქვეშ, მაგრამ დისკუსიის შემდეგ შევთანხმდით საერთო ფორმულირებაზე, რომელიც საკითხის არსს არ ცვლის", — განმარტა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" დავით დარჩიაშვილმა.

რეზოლუციის მიღების შემდეგ კმაყოფილებას გამოხატავდა ორივე მხარე. „უმცირესობის სახელით მინდა გამოვთქვა კმაყოფილება დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ ყველამ მივეცით ხმა", — განაცხადა ვიცესპიკერმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" გიორგი ბარამიძემ, რომელმაც აღიარა, რომ დოკუმენტი — ეს არის „ურთიერთდათმობისა და კომპრომისების შედეგი". „ეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არის მეტად მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენა, ვინაიდან პარლამენტის უმცირესობამ და უმრავლესობამ შეძლეს მოლაპარაკებულიყვნენ ერთ დოკუმენტზე", — მხარი დაუჭირა მას საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ.

ზოგიერთმა ექსპერტმა მიიჩნია, რომ მიღებული რეზოლუცია წერტილს სვამს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მოწესრიგების პერსპექტივაზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა. თუმცა, მმართველ კოალიციაში გვირჩევენ, ნუ მივანიჭებთ დოკუმენტს ძალიან დიდ მნიშვნელობას. „ეს არავითარ შემთხვევაში არ შეუშლის ხელს რუსეთის ფედერაციასთან კულტურულ და ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა განვითარებას ისევე, როგორც დიალოგის მოწესრიგებას მთლიანად", — დაგვარწმუნა პარლამენტის წევრმა „ქართული ოცნებიდან", ყოფილმა ელჩმა ეუთოში ვიქტორ დოლიძემ. ამავე დროს, მისი აზრით, „ამჟამინდელ პოლიტიკურ და სამხედრო პირობებში რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიურ ურთიერთობათა აღდგენა შეუძლებელია".

დამოუკიდებელი ექსპერტები კი სულაც გვირჩევენ არ აღვიქვათ სერიოზულად დოკუმენტი, რომელიც პარლამენტმა მიიღო. „მე უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ბევრი ასეთი ქაღალდი მჭერია ხელში, — განაცხადა დიპლომატიური აკადემიის ყოფილმა რექტორმა სოსო ცინცაძემ, — უახლოესი თვეები გვიჩვენებენ, ღირს თუ არა ეს დეკლარაცია იმ ქაღალდზე ძვირი, რომელზეც იგია დაწერილი".

ამ დროს ოპოზიცია არ აპირებს შეჩერდეს მიღწეულზე. მიხეილ სააკაშვილის გარემოცვაში შესანიშნავად ესმით, რომ რეზოლუციას არ აქვს კანონის ძალა. „ჩვენ მოვითხოვდით და კვლავინდებურად მოვითხოვთ დაფიქსირებული იქნეს კონსტიტუციაში საგარეოპოლიტიკური კურსის უცვლელობა. მაგრამ ამჯერად დავკმაყოფილდით რეზოლუციითაც", — განმარტა ჩვენთან საუბარში დავით დარჩიაშვილმა, რითაც გვაგრძნობინა, რომ საპრეზიდენტო მოძრაობა გააგრძელებს ბრძოლას ძირითად კანონში საქართველოს ევროინტეგრაციის კურსის დამკვიდრებისთვის.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



### წინასწარმეტყველ მუჰამედზე სიმთვრალეში წამოსროლილმა სიტყვებმა პაკისტანში ქრისტიანების დარბევა და 400-ზე მეტი კაცის დაპატიმრება გამოიწვია

ქალაქ ლახორის ქრისტიანულ კვარტალში მუსლიმანებმა დაწვეს დაახლოებით 100 სახლი მას შემდეგ, რაც მათმა თანამორწმუნემ, რომელიც სხვას წაეკიდა, დაიჩივლა იმის შესახებ, რომ მან შეურაცხყოფა მიაყენა წინასწარმეტყველ მუჰამედს. ამის შემდეგ ათასობით ქრისტიანმა გამართა მიტინგი, მოითხოვდნენ ხელისუფლებისგან დაცვას. წესრიგის დამცველები იძულებული გახდნენ დაეპატიმრებინათ არა მხოლოდ მუსლიმანი დამარბევლები, არამედ აქტივისტი ქრისტიანებიც.

### ტეხასში ისაუბრეს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო დაღუპულმა მაქსიმ კუზმინმა სასიკვდილო ტრავმები

რუსი ობლის მშვილებელი მშობლების ბრალეულობის ხარისხი ჯერ კიდევ დასადგენია, ბავშვის გარდაცვალების მიზეზი კი გამომძიებლებისთვის ცხადია. ამ დროს ჟურნალისტები კვლავ თავს ესხმიან ბავშვის ომბუდსმენს, ახლა საქმეში ჩაერთვნენ ინგლისურენოვანი ავტორებიც. პაველ ასტახოვმა შექმნა ხუთი მითი რუსეთელი ობლის დაღუპვის შესახებ, მიუთითებენ ისინი.

### 97 წლის ასაკში გარდაიცვალა შვედი პრინცესა, რომლის აკრძალული რომანი ლეგენდად იქცა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრის ლილიან მეი დევისის მრავალწლიანი რომანი პრინც ბერტილ შვედეთელთან გახდა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გულშიჩამწვდომი და რომანტიკული სასიყვარულო ისტორია იმის გამო, რომ ტახტის მემკვიდრეს არ ჰქონდა შესაძლებლობა ასულიყო ტახტზე განქორწინებულ, არადიდგვაროვანი წარმომავლობის შეყვარებულ ქალთან, ისინი დიდხანს მალავდნენ თავიანთ ურთიერთობებს.

### უკრაინელი მსახიობი და მხატვარი დაიღუპა ეგვიპტეში, ის კვადროციკლიდან გადმოვარდა

ცნობილი უკრაინელი არქიტექტორის ანატოლი დობროვოლსკის შვილიშვილი ოქსანა გაივასი ხურგადში დასვენების დროს გაეშურა კვადროციკლზე სასეირნოდ უდაბნოში. ქალიშვილი ჩამოვარდა სატრანსპორტო საშუალებიდან, მიიღო თავის ქალისა და ტვინის ტრავმა და აღმოჩნდა კომაში. მსახიობი სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა ისე, რომ გონზე არ მოსულა.

### ინდოეთში თავი ჩამოიხრჩო გაუპატიურებაში ბრალდებულმა, რომელმაც მთელი ქვეყანა აღაშფოთა

დანაშაულმა, რომელიც შარშან 16 დეკემბერს მოხდა, გამოიწვია მასობრივი პროტესტები. მამაკაცების ჯგუფმა ავტობუსში გააუპატიურა 23 წლის ჯოთი სინგხი, როდესაც იგი თავის მეგობართან ერთად კინოდან სახლში ბრუნდებოდა. წაბილწვის შემდეგ წყვილი ავტობუსიდან გადმოყარეს. მოგვიანებით ქალიშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. მთლიანად საქმესთან დაკავშირებით ექვი კაცი დააკავეს.

### იაპონიის მიწისძვრა გაიგონეს „კოსმოსის ზღვარზეც": ქვეყანა იხსენებს 2011 წლის სამმაგი კატასტროფის მსხვერპლთ

14 საათსა და 46 წუთზე ადგილობრივი დროით, ქვეყანაში გამოცხადდა წუთიერი დუმილი — ათასობით იაპონელის ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც ზუსტად ორი წლის წინათ დაიღუპნენ ან დაიკარგნენ უგზო-უკვლოდ ცუნამის დროს. იმ დღეს მომხდარი მიწისძვრა იყო მართლაც უძლიერესი იაპონიის ისტორიაში, მისი ექო გავრცელდა მთელს პლანეტაზე.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შაბათ-კვირის ჩანაწერები

## თევზაძეების „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“



საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის საახლობლოსგან გამიგია:

მამულის სიყვარულით გულანთებულ დავით თევზაძეს აფხაზეთის ომში თავისი ქალ-ვაჟიც (ნათია და დავითი) ახლდა და ბრძოლებში ერთად მონაწილეობდნენ. უმცროსი ქალიშვილი ქეთევანი მაშინ სრულწლოვანი არ იყო, მამისა და და-ძმის გვერდით რომ დამდგარიყო, თუმცა მალე აისრულა გულისწადილი — მივიდა კომისარიატში, და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოხალისედ გაწვევა ითხოვა. იქ სწავლობდა იგი სამხედრო საქმეს, მერე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემიაც დაამთავრა და ოფიცერი გახდა, მსახურობდა კოჯრის ბატალიონის სპეცდანიშნულების რაზმში, 2006 წელს ეს რაზმი ერაყში მიავლინეს და, რაღა თქმა უნდა, ქეთევან თევზაძეც 6 თვის განმავლობაში ერაყში იმყოფებოდა. 2008 წელს იგი მონაწილეობდა ცხინვალის ბრძოლებში... ქეთევანმა დედაუნივერსიტეტიც დაამთავრა, ახლა მომავალი ჟურნალისტი ტელეიმედშია პრაქტიკაზე, თან ორ შვილს — ნინოსა და გიორგის უზრდის ქვეყანას.

შევცქერი 8 მარტს ტელევიზიის ეკრანს და, აგერ, ქეთინო თევზაძეზე სიუჟეტია — ქალთა დღეს ულოცავენ... მე ვიცნობ ჩემი სტუდენტობის მეგობრის დავით თევზაძის შესანიშნავ ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს... ამიტომ უფლება მქონდა დამერეკა ქეთინოსთვის და მეც მიმელოცა 8 მარტი, თანაც, ერთი-ორი სიტყვა ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც ჩამეწერა...

ვურეკავ, ვულოცავ, ახლახან, სამხედრო ფორმით განხეთ ეკრანზე-მეთქი.

— დამიჯერეთ, ჩემი ოცნება იყო სამხედრო სამსახური...

**— ალბათ, მთავარი „დამნაშავე“ მამათქვენია, დავით თევზაძე...**

— არა, მთავარი „დამნაშავე“ ჩემი ბიძა, ლეგენდარული იაროსლავ იოსელიანია, მის შემხედვარეს, წყალქვეშა ნაოსნობის კაპიტნობა მინდოდა და რახან ეს არ გამოვიდა, მაინც მოვახერხე ჯარისთვის დამეკავშირებინა ჩემი ცხოვრება...

**— მაშინ ბატონი დავითი თავდაცვის მინისტრი იყო?..**

— არა, არა... მე უკვე ჯარში ვმსახურობდი, მამა რომ თავდაცვის მინისტრი გახდა...

**— ისე, ეტყობა, „მეომრული სული“ მისგან მოგდგამთ...**

— ოოო... მამა მაგარია!..

**— ბევრს ჰგონია, რომ ქალის საქმე არ არის ჯარი და სამხედრო ფორმა...**

— არ არიან სწორი, ვინც ასე ფიქრობს. მამაკაცი რომ, მაგალითად, სამზარეულოში ტრიალებს, ანდა, დიზაინერია... ეს როგორ?.. მე თუ მკითხავთ, სამშობლოს სამსახური, უპირველესად, მის შეიარაღებულ ძალებში სამსახურია.

**— გაუშვებთ ვაჟიშვილს?!.**

— აუცილებლად!.. თუ თვითონ მოინდომებს და, ღმერთმა ნუ ქნას, საჭირო გახდა, ქალიშვილსაც!..

**— აბა, სულ წარმატებები, ქეთევან!.. გისურვებთ, რომ თქვენს საინტერესო „საკუთარ“ ბიოგრაფიას, „საკუთარი“ ჟურნალისტიკაც შემატოთ.**

— დიდი მადლობა.

## „თავშეუკავებელი“ ჭკუასელი და „თავშეკავებული“ სუხიშვილი

რა გეშველება ახლა შენ, ჯემალა, ძამა, აღარ ვიცი! მაინც გურულად აჩქარდი... ეს რა მოგივიდა, რავა წეიყვანე „ერისიონი“ „საქართველოს მტრების“ ბანაკში, ძამა!.. რა უნდა უპასუხო ახლა გაბაშვილებს, წიკლაურებს... მათ „კაპიტან“ სააკაშვილს... ამდენ „გულანთებულ პატრიოტს“, რუსეთის ხსენებაზე, ბნედა რომ ემართებათ?!. შეგეკავებია თავი რაღაცნაირად. აი, ხომ ხედავ, რა „თავშეკავებული“ გამოდგა ნინო სუხიშვილი?! არა, გენაცვალეთო, ჩვენ კი მიგვიწვიეს, მაგრამ კრემლის ყრილობათა დარბაზში კონცერტს როგორ გავმართავთო!..

* * *

ახლა კი შევეშვათ ამ ხუმრობანარევ ირონიას და სავსებით სერიოზულად ვისაუბროთ, ჩემო მკითხველო, იმაზე, კულტურული კავშირებიც კი რატომ არ გვსურს ზოგიერთს ჩვენს უზარმაზარ მეზობელთან?! მსოფლიომ იცის, რუსეთი რომ დამპყრობელია, რუსეთი რომ სხვათა მიწების მიმტაცებელია, რუსეთი რომ დაუნდობელია!.. რაც გაგვიკეთა 2008-ში (ჩვენი „გონიერი“ პრეზიდენტის ხელშეწყობით), ესეც ხომ უკვე ცნობილია... რა ვქნათ ახლა, აღარ ამოვისუნთქოთ?!. ცეკვა-სიმღერა და მხატვრული სიტყვაც კი აღარ გავიტანოთ ამ უკიდეგანო ქვეყანაში, რომლის ინტელიგენციის დიდ ნაწილს დღესაც ეძვირფასება საქართველო, იცის ჩვენი ნიჭის ფასი და ენატრება კიდეც ამ ნიჭის გაბრწყინება სცენასა და ეკრანზე?!. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენს ზოგ „ჭკუათმყოფელს“ და „პატრიოტს“, ნელ-ნელა სავაჭრო ამბები რომ გვარდება რუსეთთან, არც ეს ეპიტნავება. რა ვქნათ, ხალხო?! ჩავიკეტოთ კავკასიაში?! (სააკაშვილის წყალობით, მგონი, აქაც აგვერია საქმე) შევახსენოთ სპარსეთსა და ოსმალეთს ძველი „ვალები“?!. სხვათა შორის, საბჭოთა რუსეთისა და, კერძოდ, „გოსკონცერტის“ ხელშეწყობით გადიოდნენ ჩვენი სცენის ოსტატები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, „გოსკონცერტის“ ხელშეწყობით მოიპოვეს ჩვენმა მოცეკვავეებმა და მომღერლებმა სახელდიდება... მოსკოვის გავლით მიდიოდა უცხოელ მკითხველამდე ჩვენი მწერლების ნაწარმოებები, ბოლოს და ბოლოს, „თერგდალეულებმა“ პეტერბურგში მიიღეს სწავლა-განათლება... ამით ის მინდა ვთქვა, რომ ეს მართლმადიდებელი ქვეყანა, უცხო არ ყოფილა საქართველოსთვის. ჰოდა, ახლა, როდესაც იგი ჩვენი „უფროსი ძმა“ აღარ არის, როდესაც უკვე „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, რატომ გვეუცხოება რუსეთი ასე?!. ბოლოს და ბოლოს, რა გვგონია, მისგან დაპყრობილ კუთხეებს, იგი, ჩვენი ასე „ვირზე შეჯდომით“ და ვითომ „პრინციპულობით“ დაგვიბრუნებს?! ჩემი აზრით, სწორედ ხელოვნების მუშაკთა გაცვლა-გამოცვლამ, სიტყვის ოსტატთა მიმოსვლამ, ერთმანეთის ნელ-ნელა გულის გათბობამ, პოლიტიკოსებიც „გაათბოს“ და ჩვენთვის სასიკეთო შედეგები დავინახოთ?!.





სხვა გამოსავალს თუ ხედავენ ზოგ-ზოგები, გვითხრან, ბატონო!.. იქნებ, ის ქვეყანა მიაჩნიათ მხსნელად, რომელსაც არც ენა აქვს თავისი, არც მამული და არც სარწმუნოება?!

ეეე... ტვინი გვაქვს დაბნეული, ტვინი!..

...საინტერესოა, ნახეს კვირა საღამოს ამ „პატრიოტებმა“ ტელეიმედის სიუჟეტი მოსკოვიდან? ნახეს, „ერისიონის“ კონცერტის შემდეგ რა სახეგაბრწყინებული ეუბნებოდა ტელეჟურნალისტს აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონი მიმოზა ჭაბუკიანი, 20 წელიწადია ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარო?! დიდი მადლობა მარტო ასეთი ხალხის გახარებისთვის ეკუთვნის ჯემალ ჭკუასელს და რევაზ ჭოხონელიძეს, ანსამბლის მთელ შემადგენლობას!

* * *

იქნებ, გუშინ, ნაშუადღევს ნახეთ ტელევიზიით, „პატრიოტებო“, რა შეხვედრა მოუწყვეს თბილისის აეროპორტში მოსკოვიდან დაბრუნებულ „ერისიონს“? თქვენ სულ სხვაგვარად გინდოდათ, წყევლა-კრულვიანი დახვედრა გინდოდათ, რაც არა და არ გამოვიდოდა, რადგან, ამას არ უნდა დიდი მიხვედრა: „ერისიონმა“ თავისი კონცერტებით რუსეთში ჭეშმარიტი გმირობა ჩაიდინა — ყველაზე ბრძენი დიპლომატის როლი კულტურას შეასრულებინა.

## უსუფაშვილმა, „კაი ცხოვრება“ მორჩაო?!

ვითომ, სწორია ახლა ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი? პარლამენტარები, პრემიის სახით, 12 თვის ნაცვლად 16 თვის ხელფასს იღებდნენ, რაც აწი აღარ მოხდებაო. არ მიკვირდა კაცო? ეს ჩვენი დეპუტატები, შუბლზე ოფლგადმომდინარენი რომ შრომობენ, გადატენილი რომ არის სხდომათა დარბაზი და პარლამენტის თავმჯდომარეს (ბაქრაძეს) ერთი შენიშვნაც რომ არა აქვს გაკეთებული პარლამენტართა არდასწრების თაობაზე, ეროვნული პრობლემებით რომ არიან დახუნძლულები და დღედაღამ ხალხის გვერდით დგანან, რას იღებენ ამის საფასურს, რაღაც ხელფასი და, მოგვიანებით, რაღაც პენსია, რავა ეკადრებათ ამათმეთქი?!.

მადლობა ღმერთს, თურმე, პრემიებსაც აძლევდნენ ჩვენს რჩეულებს. ალბათ, ამიტომაც იყო, ბატონო დავით, თქვენი სეხნიის თამადობით, ხალხის სასიკეთო კანონებს ზედიზედ რომ იღებდნენ, ჰოდა, ეს დამატებითი ხელფასი თუ პრემია აიკრძალა, მე, პირადად, მეშინია, გული არ აიყარონ ახალი პარლამენტის წევრებმა თავიანთ საქმიანობაზე. ზოგმა შეიძლება გააპროტესტოს კიდეც, ამდენს ვშრომობთ და ვინ გვიფასებსო...

მგონი, დაფიქრება გმართებთ.

**ვილენ მარდალეიშვილი**

ჩვენი თანამემამულე

## „თბილისი-მოსკოვი-პარიზი-ნიუ-იორკი“ — კოლუმბიის უნივერსიტეტში



ამას წინათ ნიუ-იორკში კოლუმბიის, უნივერსიტეტში მოეწყო ამავე უნივერსიტეტის სლავიანისტიკის განყოფილების მიწვეული პროფესორისა და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის **მზია ჩიხრაძის** ფოტოგამოფენა სახელწოდებით „თბილისი-მოსკოვი-პარიზი- ნიუ-იორკი, 1910-1935 წლები“. გამოფენის მიზანი გახლდათ XX საუკუნის პირველი სამი ათეული წლის განმავლობაში ოთხ ქვეყანაში მიმდინარე მხატვრულ-კულტურული მოვლენების ასახვა. XIX და XX-ის დასაწყისები ყველაზე პროდუქტიული იყო ევროპაში მხატვრული ძიებებისა და ახალი მიმდინარეობების განვითარებისთვის. ეს პროცესები მხოლოდ დასავლეთ ევროპას არ შეეხებოდა, მასში საქართველო და რუსეთი აქტიურად იყვნენ ჩაბმული. მზია ჩიხრაძის ამ პროექტის მიზანი კი გახლდათ აღნიშნული ეპოქის ხელოვნების განვითარების არეალის უფრო აღმოსავლეთით „გადაწევა“ და საერთო ევროპულ მხატვრულ პროცესებში ქართული თანამედროვე ხელოვნების ჩართულობის, ქართული ხელოვნების მნიშვნელობის, მისი ევროპულ და რუსულ ხელოვნებასთან მიმართების, კულტურული კავშირების, ურთიერთგავლენებისა და განვითარების საერთო და განმასხვავებელი ელემენტების ჩვენება.

ზოგადად ეს ფოტოგამოფენა პროექტის „თბილისი-მოსკოვი-პარიზი-ნიუ-იორკი, 1910-1935 წლები“ ქართველი მკვლევარების მარინა მეძმარიაშვილის ( ხელმძღვანელი), თეა ტაბატაძისა და მზია ჩიხრაძის მიერ 1998-2000 წლებში ღია საზოგადოების ინსტიტუტის პრაღის კვლევითი პროგრამების მხარდაჭერით ზემოთ აღნიშნილ საკითხებზე ჩატარებული კვლევის გაგრძელებაა. მეცნიერებმა მეტად საინტერესო ვიზუალური და ვიდეო მასალა შეაგროვეს. გამოფენაზე კი ამ მასალის ნაწილია წარდგენილი.

მზია ჩიხრაძის თქმით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მსოფლიო სახელოვნებო პროცესებში მონაწილე მხატვართა ფოტოები, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით თანამედროვე ევროპული ხელოვნების განვითარების საქმეში. სტენდებზე რეპროდუქციების ფოტოები ისე იყო განლაგებული, რომ თვალნათელი ყოფილიყო ამ მხატვართა და მხატვრულ მიმდინარეობათა კავშირი და ურთიერთგავლენები. მაგალითად, ერთ-ერთ სტენდზე წარმოდგენლი იყო ნიკო ფიროსმანი, ხოლო მის გვერდით ლარიონოვის, გონჩაროვას, შევჩენკოს და სხვა რუსი ავანგარდისტი მხატვრების ნამუშევრები. ამ რიგში კარგად ჩანდა მათი დაინტერესება ფიროსმანის ხელოვნებით და მათ შემოქმედებაზე თვითნასწავლი ქართველი მხატვრების გავლენა. მეორე სტენდზე კი წარმოდგენილი იყო ამერიკელი მხატვრისა და კოლექციონერის ქეთრინ დრაიერის და დავით კაკაბაძის ისტორია. კერძოდ კი 1926 წელს დრაერმა კაკაბაძის ქანდაკება „Z“ და მისი აკვარელში შესრულებული 16 აბსტრაქტული ნამუშევარი შეიძინა. იმავე წელს ეს ნამუშევრები ქეთრინ დრაიერის მიერ დაარსებული „ანონიმური საზოგადოების“ ორგანიზებით ბრუკლინის მუზეუმში გამოიფინა. ფოტოგამოფენაზე სწორედ იმ შორეული გამოფენის კატალოგის რამდენიმე გვერდიც იყო წარმოდგენილი. ეს გვერდები დავით კაკაბაძის შესახებ მოგვითხრობს, მის მოკლე ბიოგრაფიას აქვეყნებს და ამავე კატალოგშია მისი ეს ცნობილი ქანდაკებაც. საინტერსოა, რომ მოგვიანებით, კერძოდ კი 1949 წელს დრაიერმა „ანონიმური საზოგადოების“ კოლექციის უდიდესი ნაწილი იელის უნივერსიტეტის ხელოვნების გალერეას გადასცა და მათ შორის — დავით კაკაბაძის ნამუშევრებიც. მისი იქ დაცული ქანდაკება კაკაბაძის მიერ შესრულებული ერთადერთი სკულპტურაა, რომელიც დღეისათვისაა შემორჩენლი. ამავე სტენდზე ნაჩვენებია კაკაბაძის სკულპტურის პარალელები ბრანკუზისა და მენ რეის ქანდაკებებთან, სადაც ცხადად ჩანს, რომ ქართველი მხატვრები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ თანამედროვე მხატვრულ ტენდენციებს და მათი მხატვრული ენა XX საუკუნის 20-იანი წლების ავანგარდული ხელოვნების ადეკვატური იყო.

გამოფენას მიეძღვნა კატალოგი-ბროშურა, რომელიც 1910-იანი წლების ავანგარდული წიგნების მაგალითებითაა შედგენილი. აღნიშულ კატალოგში მოცემულია ყველა ის მნიშვნელვანი მოვლენა და ფაქტი, რომელიც 1900-იანი წლებიდან ვიდრე 1935 წლამდე ხდებოდა და რამაც ამ პერიოდში მოდერნიზმი, ავანგარდისა და საერთოდ თანამედროვე დასავლური ხელოვნების განვითარება განსაზღვრა.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რაგბი

# საპრემიო ქულაც დაიმსახურეს



**ევროპის ერთა თასის 2013 წლის გათამაშების მე-4 ტურში საქართველოს მორაგბეებმა ესპანელებს უმასპინძლეს და ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მიითვალეს. არადა, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პაექრობა სტუმართა იერიშებით დაიწყო და მე-5 წუთზე სიმპსონის ზუსტი საჯარიმო დარტყმის შემდეგ პირენეელები დაწინაურდნენ. ოთხიოდ წუთში კვირიკაშვილმა 40-ოდე მეტრიდან წონასწორობა აღადგინა. ცოტა ხანში სიმპსონმა ისევ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. „ბორჯღალოსნებმა“ ნელ-ნელა შეძლეს თამაშის დაწყობა და მატჩის სადავეების ხელში ჩაგდება. 22-ე წუთზე კვირიკაშვილმა კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში და მასპინძლებიც მოედნის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. ზუსტ საჯარიმო დარტყმას მალევე ბასილაიას ლელო მოჰყვა. მერე შარიქაძემ და ხმალაძემ კიდევ ორჯერ დადეს ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანზე. კვირიკაშვილმა სამივე გარდასახვა უნაკლოდ შეასრულა. პირველი ტაიმი ქართველმა მორაგბეებმა 30:6 მოიგეს.**

მილტონ ჰეიგის შეგირდებს ინიციატივა არც შესვენების შემდეგ დაუთმიათ. მთელი ორმოცი წუთი მათი სცენარით წარიმართა. საბოლოოდ მასპინძლებმა 61:18 გაიმარჯვეს, რვა ლელო გაიტანეს და საპრემიო ქულაც დაიმსახურეს. საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხმალაძე, მაჩხანელი, კაჭარავა, შარიქაძე, მჭედლიძე, კვირიკაშვილი (წიკლაური), აბუსერიძე (ხუციშვილი), კაკოვინი (ჟვანია), ბელქანია (ნატრიაშვილი), ქუბრიაშვილი (ზირაქაშვილი), მიქაუტაძე (ჩხაიძე), დათუნაშვილი, კოლელიშვილი, გორგოძე (სუთიაშვილი), ბასილაია, მთავარი მწვრთნელი **მილტონ ჰეიგი.**

მატჩის შემდეგ თანაგუნდელებმა აწ უკვე ყოფილი კაპიტანი, ევროპის ერთა თასის ხუთგზის მფლობელი, სამი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე, 35 წლის ირაკლი აბუსერიძე ნაკრებიდან, რომლის შემადგენლობაშიც 13 წელიწადი გამოდიოდა, საზეიმოდ გააცილეს.

იმავე დღეს ევროპის ერთა თასის მე-4 ტურის გასვლით მატჩში რუმინელებმა ბელგიელებს სძლიეს — 32:14, რუსებმა პორტუგალიელები დაამარცხეს — 31:23.

**სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ:** საქართველო — 17 (126:52), რუმინეთი — 17 (105:56), რუსეთი — 9 (67:84), პორტუგალია — 5 (66:87), ბელგია — 4 (60:88), ესპანეთი — 3 (63:120).

**16 მარტს ითამაშებენ:** რუმინეთი — საქართველო, ესპანეთი — პორტუგალია, რუსეთი — ბელგია.

**ექვსი ერის თასი. IV ტური.** ინგლისი — იტალია 18:11, შოტლანდია — უელსი 18:28, ირლანდია — საფრანგეთი 13:13.

**ლექსო ცინცაძე**

ოფიციალური პოზიცია

# ალმასკომის რეკომენდაცია საბოლოო გადაწყვეტილება არ არის

**სპორტის გულშემატკივრებში 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ჭიდაობის შესაძლო ამოღების შესახებ აჟიოტაჟი არ ცხრება. სხვა ქვეყნებთან ერთად ამ საკითხის მოგვარებაში საქართველოც აქტიურად არის ჩართული. სეოკ-მა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ოფიციალური მიმართვაც გააგზავნა, რაზეც სოკ-ისგან პრეზიდენტ ჟაკ რ ლერი ხაბელოვის სახელზე საპასუხო წერილი მივიღეთ.**



**სოკ-ის პრეზიდენტის ჟაკ როგის საპასუხო წერილი სეოკ-ის პრეზიდენტს ლერი ხაბელოვს.**

**პატივცემულო პრეზიდენტო,**

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი) მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ჭიდაობის საკითხის მიმართ გამოვლენილი ინტერესისა და ერთგულების გამო. საქართველოს ნამდვილად მყარი საფუძველი გააჩნია იმისათვის, რომ იამაყოს მისი მრავალი ცნობილი მოჭიდავითა და ოლიმპიური ჩემპიონით.

დამატებითი ინფორმაციის სახით გვსურს მოგახსენოთ, რომ სოკ-ი რეგულარულად სწავლობს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ სპორტის სახეობებს, რათა საჭირო დონეზე დავაბალანსოთ თამაშების მიმართ გამოვლენილი ინტერესი და აქტუალობა. იზოლირებულად არც ერთი სახეობა არ განიხილება.

სოკ-ის ალმასკომის წინაშე დადგა ამოცანა, რათა მრავალმხრივ ფაქტორებზე დაყრდნობით რეკომენდაცია გაეწია სპორტის 25 წამყვანი სახეობისთვის. მაგალითად, მნიშვნელოვანია სწორი ბალანსის შემუშავება სპორტის გუნდურ და ინდივიდუალურ სახეობებს შორის; საბრძოლო და სხვა სახეობებს შორის და, ზოგადად, ობიექტურ საზომებზე დამყარებულ სახეობებსა და მსაჯობაზე დაფუძნებულ სახეობებს შორის.

ეს არასოდეს ყოფილა ადვილი გადასაწყვეტი. 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 25 წამყვანი სახეობის რეკომენდირებით, სოკ-ის ალმასკომის წევრებმა ერთობლივი მოსაზრება წარმოადგინეს, რომელიც სპორტის ცალკეულ სახეობებში მათი, როგორც სპორტსმენების, ადმინისტრატორებისა და ოლიმპიელების მიერ წლების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას ეფუძნება. მართალია, ჭიდაობას მთელი რიგი ძლიერი მხარეები გააჩნია, მაგრამ ისტორია მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ასევე უნდა ვაღიაროთ აუცილებელი ცვლილებების საჭიროებაც.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ალმასკომის რეკომენდაცია საბოლოო გადაწყვეტილება არ არის. ჭიდაობა, სპორტის დანარჩენ შვიდ სახეობასთან ერთად, შეეცდება, დაიმკვიდროს ადგილი 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. მომდევნო ეტაპი ითვალისწინებს მაისში სანკტ-პეტერბურგში, სოკ-ის ალმასკომის სხდომაზე დაგეგმილ პრეზენტაციას.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სრული შემადგენლობით მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, როდესაც მისი წევრები სექტემბერში სოკ-ის სესიაზე შეიკრიბებიან ბუენოს-აირესში.

ჭადრაკი

# „ბრინჯაოს“ შანსიც კი მინიმალურია

**გასულ უქმეებზე ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ტურის მატჩები გათამაშდა. საქართველოს ნაკრებმა ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრა და ერთიც წააგო, რითაც, „ოქრო-ვერცხლს“ ვინ ჩივის, ბრინჯაოს მედლის მოპოვებაც, ფაქტობრივად, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ჩვენებურებმა ორი წლის წინათ თურქეთში ნაჩვენები შედეგი (მე-3 ადგილი) რომ გაიმეორონ, დარჩენილი ორივე შეხვედრა უნდა მოიგონ, კონკურენტებმა კი — წაიფორხილონ. ასეთი რამ კი მხოლოდ ინდურ ფილმებში ხდება... თუმცა, ქალთა ჭადრაკში გამორიცხული არაფერია.**



ახლა კი მოკლედ იმ ორი ტურის შესახებ: შაბათს ქართველები რუსებს დაუპირისპირდნენ. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების ნაკრებში კაპიტანთან უთანხმოების გამო უძლიერესი დიდოსტატები — დები ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევები არ თამაშობენ. ეს კი ნახევარ გუნდზე მეტია, ამიტომ რუსები, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობით ასპარეზობენ (ისევე, როგორც ჩინელები და ინდოელები, რომლებსაც პირველ-მეორე ნომრები აკლიათ). მიტელშპილისთვის ოთხივე დაფაზე ქართველ დიდოსტატებს მოსაგები პოზიციები ჰქონდათ. მოხდა ისე, რომ ნანა ძაგნიძემ და ბელა ხოტენაშვილმა თავიანთი პარტიები, შესაბამისად, ვალენტინა გუნინასთან და ალექსანდრა კოსტენიუკთან ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს, ლელა ჯავახიშვილმა და სალომე მელიამ კი იმდენი მოახერხეს, რომ მეტოქეებს — ალისა გალიამოვას და ოლგა გირიას მიულოცეს გამარჯვება. საბოლოოდ ფრე — 2:2.

**მეექვსე ტურის დანარჩენი პაექრობები ასე დამთავრდა:** რუმინეთი — ჩინეთი 1:3, ინდოეთი — აშშ 2:2, ყაზახეთი — თურქეთი 3:1, უკრაინა — საფრანგეთი 4:0.

მე-7 ტურში ჩვენი გუნდი ერთპიროვნულ ლიდერ უკრაინის ნაკრებს შეხვდა და 1:3 წააგო: ნანა ძაგნიძე ორგზის ევროპის ჩემპიონ კატერინა ლაგნოს დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ სალომე მელია და ევროპის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა. მოქმედმა მსოფლიოს ჩემპიონმა ანა უშენინამ ბელა ხოტენაშვილს აჯობა, მარია მუზიჩუკს კი ნინო ხურციძე დანებდა. **დანარჩენი მატჩები:** აშშ — რუსეთი 2.5:1.5, ჩინეთი — ყაზახეთი 3:1, თურქეთი — ინდოეთი 1.5:2.5, საფრანგეთი — რუმინეთი 2:2.

**შვიდი ტურის შემდეგ:** უკრაინა — 13, ჩინეთი — 11, რუსეთი — 10, ინდოეთი — 9, საქართველო — 8, აშშ — 7, რუმინეთი — 5, ყაზახეთი — 4, საფრანგეთი — 2, თურქეთი —1 ქულა.

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# ქართველთა ევროპული გამოცდა

**თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის — რევაზ მინდორაშვილის ხელმძღვანელობით ამჟამად ბორჯომში ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც 19 მარტიდან თბილისი უმასპინძლებს.** აქამდე ჩვენი ბიჭები რამდენიმე საწვრთნელ შეკრებასა და საერთაშორისო ტურნირზე იყვნენ. ეროვნული გუნდის მესვეურებმა ყველა კანდიდატი გამოსცადეს, საბოლოოდ კი კონტინენტის პირველობაზე გამომსვლელთა ვინაობა ბორჯომში გაცხადდა — თბილისის სპორტის სასახლეში ქვეყნის ჩემპიონატის ოქროსმედალოსნები იჭიდავებენ. ესენი არიან: გიორგი ედიშერაშვილი (55 კგ), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60), კონსტანტინე ხაბალაშვილი (66), დავით ხუციშვილი (74), დავით მარსაგიშვილი (84), ელიზბარ ოდიკაძე (96) და გენო პეტრიაშვილი (120).

**საქართველოს ნაკრები თბილისში 17 მარტს დაბრუნდება.** თავისუფალ ჭიდაობაში მედლები 19 (66 და 96 კგ), 20 (55 და 60), 21-სა (74 და 120) და 22 (84) მარტს გათამაშდება.

**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# ეს სუპერლიგაა!

**სუპერლიგის მორიგი ტური „ქუთაისისა“ და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის „ოლიმპის“ მძაფრი ბრძოლით გაიხსნა.**

სტუმრები ძალიან ახლოს იყვნენ პირველ დამარცხებასთან, მაგრამ უკანასკნელ წამებზე გიორგი ბარბაქაძემ ზედიზედ სამი საჯარიმო ტყორცნა ვერ გამოიყენა — 76:78.

რაც შეეხება კიდევ ერთ ფავორიტს — შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდს, მან მოულოდნელად იოლად სძლია ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „არმიას“ — 77:62. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ახალი სეზონის წინ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში ველარ მოხვდა, რასაც ლეგიონერთა მიერ ბოლო წლების წამყვანი კლუბის დატოვება მოჰყვა, მათ გარეშე დარჩენილ პარტნიორებს კი არჩიბეკთან, ვონთან და კამპანიასთან ღირსეულად გამკლავება საკმაოდ გაუჭირდათ.

ტურის გვირგვინად „სოხუმისა“ და „რუსთავის“ დრამატული დუელი იქცა, რომლის ბედიც ზღვისპირელთა სასარგებლოდ მეორე დამატებით დროში გადაწყდა — 96:92. აღსანიშნავია, რომ მეტოქეებს ჩლაიძე („სოხუმი“) და ვატადი („რუსთავი“) აკლდათ, შეხვედრის გმირად კი დამარცხებულთა გამთამაშებელი ნეით ბოუი მოგვევლინა, რომელმაც სეზონის რეკორდი დაამყარა — 49 ქულა. დავძენთ, რომ სოხუმელთა გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი ათუაშვილმა და სტოიაკოვიჩმა შეიტანეს.

ხვალინდელი თამაშებიდან დიდ ინტერესს იწვევს „ოლიმპისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩი, რომელიც დედაქალაქის სპორტის სასახლეში 14 საათზე დაიწყება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპი. I-VI ადგილები. XXIII ტური.** „დინამო“ — „ბაია“ 3:0, „დილა“ — „ზესტაფონი“ 2:1, „ტორპედო“ — „ჩიხურა“ 0:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“ — 55, „დილა“ — 52, „ტორპედო“ — 46, „ჩიხურა“ — 44, „ზესტაფონი“ — 37, „ბაია“ — 35 ქულა.

**17 მარტს ითამაშებენ:** „დინამო“ — „დილა“, „ზესტაფონი“ — „ტორპედო“, „ბაია“ — „ჩიხურა“.

**VII-XII ადგილები.** „ვიტ ჯორჯია“ — „სიონი“ 0:2, „მეტალურგი“ — „კოლხეთი“ 1:0, „მერანი“ — „ბათუმი“ 0:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „მეტალურგი“ — 34, „მერანი“ — 23, „ვიტ ჯორჯია“ — 22, „სიონი“ — 21, „ბათუმი“ — 16, „კოლხეთი“ — 4 ქულა.




**17 მარტს ითამაშებენ:** „მეტალურგი“ — „მერანი“, „კოლხეთი“ — „სიონი“, „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯია“.

* * *

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „კატანია“ 1:0, „ჯენოა“ — „მილანი“ 0:2, „კიევო“ — „ნაპოლი“ 2:0.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „დეპორტივო“ 2:0, „სელტა“ — „რეალი“ 1:2, „ატლეტიკო“ — „სოსიედადი“ 0:1.

**ინგლისი.** „ლივერპული“ — „ტოტენჰემი“ 3:2. **თასი.** „მანჩესტერი“ — „ჩელსი“ 2:2, „სიტი“ — „ბარნსლი“ 5:0.

**გერმანია.** „ბაიერნი “ — „ფორტუნა“ 3:2, „შალკე“ — „ბორუსია“ 2:1, „გლადბახი“ — „ვერდერი“ 1:1.

**საფრანგეთი.** „პარი სენ-ჟერმენი“ — „ნანსი“ 2:1, „ლიონი“ — „მარსელი“ 0:0, „რენი“ — „სენტ ეტიენი“ 2:2.

**ჰოლანდია.** „აიაქსი“ — „ზვოლე“ 3:0, „ჰერენვეენი“ — „ეინდჰოვენი“ 2:1, „როდა“ — „ფეიენოორდი“ 0:1, „ტვენტე“ — „ვიტესი“ 0:1.

**გიორგი შოთაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის

# კლიმატი ძლიერია ეკონომიკაზე, ძლიერია ტექნიკაზე

## საქართველოს რეგიონებში მეთოდური და პრაქტიკული გამოყენებისთვის

**საქართველოს სოფლის მეურნეობის, როგორც პრიორიტეტული დარგის წარმატებით განვითარებას განსაზღვრავს კლიმატური რესურსები, რადგან მეცნიერთა მტკიცებით „კლიმატი ძლიერია ეკონომიკაზე, ძლიერია ტექნიკაზე“. ეს შეგონება სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, ფერმერებმა და კერძო აგროსექტორის მიწათმოქმედებმა (მეურნეებმა) უნდა გაითვალისწინონ.** აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია საყურადღებო, სოლიდური ნაშრომი — „საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონების აგროკლიმატური რესურსები“ II ნაწილად. ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში (გამომცემლობა „უნივერსალი“). ავტორები: **გიორგი მელაძე,** ს/მ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და **მაია მელაძე** ს/მ აკად. დოქტორი, ასოც: პროფესორი; რედაქტორები: **თ. თურმანიძე,** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და **ე. გუგავას** ს/მ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; რეცენზენტები: **ე. ელიზბარაშვილი,** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და **ვ. გოგიტიძე** ს/მ მეცნიერებათა დოქტორი.







ნაშრომებში (მონოგრაფიებში) გაანალიზებულია და მოცემულია მრავალწლიური აგრომეტეოროლოგიურ და აგროკლიმატურ დაკვირვებათა მონაცემები (მზის ნათება, ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურები, ატმოსფერული ნალექები, ნიადაგისა და ჰაერის ტენიანობა და სხვა), რომელთა საფუძველზე შეფასებულია თითოეული რეგიონის მიხედვით აგროკლიმატური მახასიათებლები და მოცემულია მათი ეფექტურად გამოყენების მეთოდები და წესები აგროკულტურების მაღალი პროდუქტიულობისათვის. შედგენილია ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების ჯამებით უზრუნველყოფით განსაზღვრის ნომოგრამები. ადგილის ტერიტორიის გათვალისწინებით მოცემულია აგროკულტურების თესვის აგროტექნიკის სათანადოდ ჩატარებისა და ძირითადი ფენოლოგიური ფაზების დადგომის ვადები, ასევე წაყინვების (ბოლო და პირველი) თარიღებისა და უყინვო პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის განტოლებები, წაყინვების ალბათობათა მრუდები (პროცენტები) და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. შედგენილია აგროკულტურების ყინვებისაგან კრიტიკულ-დამაზიანებელი ტემპერატურების განმეორადობათა მრუდი. ცალკეული რეგიონებისათვის შედგენილია შესაბამისი კულტურების გავრცელებისა და რაციონალურად გადაადგილების რუკები. რეგიონების ტერიტორიებისათვის მითითებულია ნიადაგის ტიპები. დადგენილია გაბატონებული ქარების მიმართულებები, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ქარსაფარი ზოლების გაშენებისას. გარდა აღნიშნულისა, მოცემულია კლიმატური მახასიათებლების ამსახველი ცხრილები. აგროკულტურების ფენოლოგიური ფაზებისა და მოსავლისათვის დამუშავებულია აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების მეთოდები. მათი გამოყენება სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ფერმერებს და დაინტერესებულ მიწათმოქმედებს ხელს შეუწყობს მცენარეთა ფენოფაზების ვადების დადგენაში და მოსავლის განსაზღვრაში.

ნაშრომში განხილული საქართველოს რეგიონების აგროკლიმატური რესურსები ხელსაყრელია — **მემარცვლეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, ტექნიკური ზეთოვანი კულტურების, მებოსტნეობის,** ასევე მეცხოველეობის და სხვა დარგების განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მუშაკები და ფერმერები სასურველია, ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთ რეგიონებში არსებულ აგროკლიმატურ რესურსებზე, რათა სწორად განსაზღვრონ მეურნეობის მიმართულება გარანტირებული მოსავლისათვის.

შრომები ძირითადად განკუთვნილია სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და ფერმერებისათვის, ასევე აგრომეტეოროლოგების, კლიმატოლოგების, გეოგრაფების, ბიოლოგებისა და სოფლის მეურნეობის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის. იგი დახმარებას გაუწევს შესაბამისი მიმართულების მაგისტრებსა და დოქტორანტებს.

**ცოტნე სამადაშვილი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

ხელოვნება

# ოთარ ბიბილეიშვილი



გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ინჟინერი, ბრწყინვალე მშენებელი **ოთარ ბიბილეიშვილი**.

ის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაგზავნეს იჟევსკის სამრეწველო კომპლექსში, სადაც მზადდებოდა დიდი სამამულო ომისათვის ის ლითონმჭრელი და მანქანათმშენებელი უამრავი დაზგა, რომელთა მიერ ქვეყანას მიეცა საშუალება 1943 წლისათვის გამოეშვა ხარისხით და რაოდენობითაც მეტი ტანკი, ქვემეხი და თვითმფრინავი, ვიდრე ფაშისტურ გერმანიას მთელი თავის სატელიტ ქვეყნებთან ერთად.

მოაზროვნე ადამიანი ადვილად მიხვდება, რა წარმოუდგენელი შრომა იყო გაწეული მაშინ საბჭოთა კავშირის ხალხების მიერ, როცა ზემოთ აღნიშნულ 1943 წელს უკრაინა, ბელორუსია და მოლდავეთი თავიანთი მძლავრი სამრეწველო ბაზებით ოკუპირებული ყავდა გერმანიას.

თქვენ, ოთარ, თქვენი თავდადებული შრომის შედეგად მიღებული გქონდათ უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა. ხოლო რუსმა ხალხმა თქვენს საიუბილეო დღესასწაულზე მოგანიჭათ რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ინჟინრის წოდება.

თქვენთან ერთად ვიყავით ქუთაისში „დიდების მემორიალის“ გახსნაზე, უამრავმა ადამიანმა იხილა სასწაული, როცა ზღვა ხალხში მოფრინდა თეთრი მტრედი და მხარზე დააჯდა მაინცდამაინც აღნიშნული მემორიალის ავტორს, ჩვენს სახელოვან მოქანდაკეს და საზოგადო მოღვაწეს მერაბ ბერძენიშვილს.

ისიც კარგად გვახსოვს, როდესაც ეს მემორიალი ააფეთქეს, რა გულისწყრომით თქვით: ის მარტო ფაშიზმზე კი არა, არამედ მთელი ჩვენი უთანასწორო ბრძოლებში გამარჯვებული ხალხის სიმბოლო იყოო.

თქვენ იყავით ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ სახელოვანი მე-4 ტრესტის მმართველი, რომელმაც პირველ რიგში სასწრაფოდ დაამთავრა ძალზე გაჭიანურებული ქუთაისის თეატრის მშენებლობა, ააშენეთ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი. შემდეგ გადმოგიყვანეს „ამიერკავკაზმეტალურგმშენში“ მმართველად, შემდეგ — მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ. რა მნიშვნელობა აქვს რა ადგილზე მუშაობდით, ყველგან იყავით დიდი კაცი და საყვარელი ადამიანი.

განსაკუთრებული ურთიერთობით გამოირჩეოდა ბატონი ოთარის და ქალბატონი სონიას სიყვარული — მათ ქვეყანას აჩუქეს შესანიშნავი შვილი — ლევანი, რომელიც აგრეთვე მშენებელია. ჰყავთ არაჩვეულებრივი რძალი ნანა.

ჩვენო ოთარ, მშენებლების უზარმაზარი არმია ცხარე ცრემლებით გაცილებთ უკანასკნელ გზაზე.

**საქართველოს საინჟინრო აკადემიის სახელით პრეზიდიუმთან ერთად ხელს ვაწერთ ბატონი ოთარ ბიბილეიშვილის უთვალავი თაყვანისმცემელი.**

სანთელი

# ვიტალი (ბიჭიკო) კვინიხიძე



საქართველოს მეწარმეთა შორის გამორჩეული პიროვნება გახლდათ **ვიტალი კვინიხიძე**. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი ნოვატორული წინადადების განმახორციელებელი, ღირსეული, შეუვალი და პრინციპული თვისებებით აღჭურვილი პიროვნება, ყოველთვის მართალი სწორ პრინციპს არ უღალატებდა. პურის მრეწველობაში მთელი რიგი ცვლილებები დანერგა, რომლის კავშირის თავმჯდომარედაც (სწორედ ამ თვისებების გამო) ავირჩიეთ. ცოტა გვეგულება ისეთი მეწარმე, ვინც პარლამენტის წევრობაზე (მრეწველებიდან) უარს განაცხადებდა და მეწარმეთა ინტერესებს ხმალამოღებული იცავდა. სამაგალითოს და მისაბაძს ღვთისაგან ჰქონდა მომადლებული საქმის ერთგულება და შეუპოვარი ხასიათი. მთელს ამიერკავკასიაში გაითქვა სახელი საფუარის ქარხანამ, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოში საწარმოთა პრივატიზაციის პიონერი ბიჭიკო კვინიხიძე. მის პრაქტიკულ გამოცდილებას ცნობილი ეკონომისტები იყენებდნენ და იზიარებდნენ, მეწარმეთათვის ის ერთგვარ იმედად და მართალი სიტყვის მნიშვნელობად იქცა.

სამაგალითო მეოჯახე და მოყვასი მეგობრებისა და კოლეგების დამფასებელი კაცური კაცი გახლდათ ვიტალი კვინიხიძე.

ის იყო კაცი, რომელმაც ისე იცხოვრა, როგორც ეკადრებოდა მის ქალაქს, მის ქვეყანას, საზოგადოებას, მეგობრებსა და ჩვენს მომავალ თაობას. ასეთ კაცზე იტყვიან ღირსეული, მაღალზნეობრივი, ქვეყნის პატრიოტიაო.

**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი**

**ნოდარ მეძმარიაშვილი, ომარ მარგველაშვილი მწუხარებით იუწყებიან სახელოვანი მშენებლისა და მამულიშვილის, ღირსეული პიროვნების**

**ოთარ ბიბილეიშვილის**

**გარდაცვალებას და ამ დიდი დანაკარგის გამო გულითადად თანაუგრძნობენ დამწუხრებულ ოჯახს.**

**გურამ, ნუნუ, გოგი, კოკა მგელაძეები თანაგრძნობას უცხადებენ კვინიხიძეების ოჯახს ძვირფასი მამისა და ბაბუის**

**ბიჭიკო კვინიხიძის**

**გარდაცვალების გამო.**

◉ ინფორმაცია

## ამოღებულია დიდი ოდენობით უაქციზო საქონელი

**შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო საქონელი ამოიღეს. სამინისტროს ცნობით, უაქციზო საქონლის რეალიზაციის ბრალდებით, ანგელინა გ, ალექსანდრე ი. და გიორგი ა. დააკავეს. სამართალდამცველებმა ანგელინა გ-ს დის კუთვნილი საცავიდან სარეალიზაციოდ გამზადებული, 70 ათას ბოთლზე მეტი, სხვადასხვა დასახელების უაქციზო სპირტიანი სასმელი ამოიღეს.**



**გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება-შენახვა-რეალიზაცია-გადაზიდვა) მე-2 და მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.**

**ინტერპრესი**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2013 წლის 20 მარტს 14 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის დამფუძნებელ წევრთა განმეორებითი საერთო კრება მისამართზე: თბილისი, გოგოლის ქ. №9.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი);
2. საორგანიზაციო საკითხები;
(ამხანაგობის იურისტი თ. კობერიძე).

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**ამხანაგობის გამგეობა**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## თავის მოვლა

# ოსტეოართროზი „უნიღბოდ“



**რევმატოლოგები ოსტეოართროზს 21-ე საუკუნის დასაწყისის ეპიდემიას უწოდებენ. დილაობით სახსრების შებოჭილობა, მოძრაობისას გამუდმებული ტკივილი — ამ ავადმყოფების ყველაზე მძიმე გამოვლინება არ არის . სამედიცინო სტატისტიკით, გულის სისხლძარღვთა დაავადებათა შემდეგ, ინვალიდობის მიზეზად მედიკოსები სწორედ ოსტეოართროზს ასახელებენ.**

ამ სავალალო შედეგის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ექიმს დროულად მიმართოთ, თორემ ბევრნი ამის გაკეთებას აჭიანურებენ, რასაც შემდგომ ცუდი შედეგი მოყვება ხოლმე. ექიმს უფრო ხშირად მაშინ აკითხავენ, როცა ტკივილი გაუსაძლისი ხდება. არადა, ოსტეოქონდროზის პირველ, ოდნავ საგრძნობ კლინიკურ გამოვლინებებსა და ავადმყოფობის რეალურ დასაწყისს შორის საკმაოდ ხანგრძლივი დროის შუალედია.

ოსტეოქონდროზის დროს მთელი სახსარი, ასევე მისი მიმდებარე ქსოვილები — სახსრის კაფსულა, მყესები, კუნთები — ზიანდება, მაგრამ, **თავდაპირველად ყველაფერი სახსრებშორისი ხრტილის დაზიანებით იწყება.** იგი შუალედურ ნივთიერება **მატრიქსში შემავალი ქონდროციტის უჯრედებისგან** შედგება. თავის მხრივ მატრიქსი **კოლაგენური ბოჭკოებსა და პროტეოგლიკანებს** შეიცავს, რომელთაგან პირველნი ხრტილს გამძლეობას ანიჭებენ, მეორენი კი, არსებითად, ერთგვარი ბუსუსებიანი მოლეკულები არიან. **სწორედ ამ ბუსუსებს შორის შუალედია გავსებული წყლით, რომელიც ხრტილის 80 პროცენტს შეადგენს, რაც მას ფორმის სწრაფად აღდგენის საშუალებას აძლევს, მას დრეკადსა და ელასტიურს ხდის.** როცა ხრტილი კოლაგენსა და ბუსუსიან მოლეკულებს საკმარისად შეიცავს, იგი ადეკვატურ დატვირთვას ადვილად უძლებს, ხოლო თუკი კოლაგენურ ბოჭკოთა და პროტეოგლიკანების ოდენობა მცირდება, ხრტილი თხელდება. ამ დროს მასზე ოდნავ დატვირთვისაც მისი დაზიანება შეუძლია. **ხრტილში მათი და მათი დამშლელი ნივთიერებების თანაფარდობა მუდამ წონასწორობაში უნდა იყოს, ხოლო თუ ბალანსი დარღვეულია, მაშინ ოსტეოქონდროზი ვითარდება.**

ამის გამომწვევი შეიძლება მრავალი მიზეზი იყოს, ვთქვათ, ჭარბი წონა და მოძრაობის დეფიციტი. ხრტილმა სრულფასოვანი კვება მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს, თუკი მისი გარემომცველი ქსოვილები სისხლით კარგად იკვებება. აქტიური მოძრაობის დეფიციტი სისხლის მიმოქცევას ანელებს, ხოლო ხრტილის უბანზე ცხიმის ფენა მის კვებას კიდევ უფრო მეტად პრობლემურს ხდის. ამის შედეგად ქონდროციტები არასწორად მუშაობას იწყებენ.

ასევე გამოსარიცხი არ არის ასაკის რისკის ფაქტორებიც: 80 წლის შემდეგ სახსრის ხრტილის პრობლემები თითქმის ყველა ადამიანს ექმნება. დაბერების პროცესი ორგანიზმის მიერ ტენის დაკარგვის პროცესთანაა დაკავშირებული, რომელიც კანშიც იკლებს და ხრტილებშიც. მაგრამ სახსრებთან დაკავშირებით პრობლემა ყველას როდი წარმოექმნება: **თუ კაცი ზომიერად აქტიურია, სწორად იკვებება და ჭარბი წონა არა აქვს, სახსრებიც ნაკლებად უზიანდება.**



ამდენად, როცა ამბობენ, რომ ადრე თუ გვიან ოსტეოართროზი ყველას შეეყრება, მთლად სიმართლეს არ შეესაბამება: მის პროფილაქტიკაზე უმჯობესია 40, ანდა, სულაც, 30 წლის ასაკიდან იზრუნოთ. თუკი ასაკის მატებასთან ერთად ოსტეოართროზმა მაინც შემოგიტიათ, გულს ნუ გაიტეხთ: **მართალია სახსრის ხრტილის აღდგენა თანამედროვე მედიცინას ჯერჯერობით არ შეუძლია, მაგრამ ფიზიკური მდგომარეობის გამოკეთება სავსებით რეალურია.** დაავადების ადრეულ სტადიაზე კარგ შედეგს იძლევა მკურნალობის არამედიკამენტოზური მეთოდები, მათ შორის სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟი. ორივე მეთოდი სახსრის გარშემო სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, ასევე კუნთების სპაზმს ხსნის, რაც ოსტეოართროზის დროს საკმაოდ ხშირი ამბავია.

აღსანიშნავია ისიც, ოსტეოართროზი ის დაავადებაა, რომლის თაობაზე ბევრი არასწორი ინფორმაცია ვრცელდება. ამჯერად სამი ასეთი „მითის“ შესახებ მოგაწვდით ცნობებს, რაც, იმედია, ამ სნეულებასთან გამკლავებაში დაგეხმარებათ.

მათგან პირველი ისაა, რომ **ადრე თუ გვიან ართროზი ყველას შეეყრება.** ამაში სიმართლის გარკვეული მარცვალია, რადგან ეს დაავადება სიბერის თანხმლებია. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტკივილის გაძლიერებას უმოქმედოდ უნდა ელოდოთ. ზევითაც აღვნიშნეთ, რომ სნეულების დადგომის ვადის გადაწევის უებარი საშუალება ცხოვრების აქტიური წესია.

მეორე მითი იმაში მდგომარეობს, რომ **ართროზის ცნობა სახსარში ძლიერი ტკივილით თავადაც შეგიძლიათ .** ართროზის დროს სახსარში ტკივილი მართლაც არის, რომელიც დღის მიწურულს ძლიერდება და დასვენების შემდეგ ნელდება. ამასთან, ტკივილის ზღვარი ყველას ინდივიდუალური აქვს, ამიტომ ტკივილის გაუსაძლის დონემდე მისვლას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაელოდოთ: მცირედი დისკომფორტის წარმოქმნის შემთხვევაშიც კი აუცილებლად ექიმს მიმართეთ. 50 წელს გადაცილებულმა ადამიანებმა კი ექიმს რეგულარულად, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მიაკითხონ.

მესამე მითი კი ისაა, რომ **ხრტილის დაშლა სწრაფად პროგრესირებს:** ართროზით დაავადებული იძულებულია ან ხელოვნური სახსარი ჩაიდგას, ანდა ინვალიდის სავარძელში ამოყოს თავი. სინამდვილეში ეს ასე არ არის: ართროზის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები ამ პროცესის დამუხრუჭების საშუალებას იძლევა. მედიკამენტები ხრტილში ტენის შენარჩუნებას უწყობენ ხელს. მათ, ასევე, გამაყუჩებელი მოქმედებაც აქვთ.

**ლალი ხუნდაძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### 19 მარტს, 17 საათზე, რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, ეროვნულ შეკრებაზე ვუხმობ ყველას!

— მოგვიწოდებს დიდი ქართველი პოეტი რეზო ამაშუკელი, — ხმამაღლა ვაცხადებ: მთელი ქართველი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს და ფეხზე დადგეს, რათა ჩვენ დავიცვათ 1 ოქტომბრის მონაპოვარი! დიახ, რანაირი გულგატეხილობაც არ უნდა იყოს, მიზეზებიც არ უნდა გაგვაჩნდეს, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ იმისთვის, რომ კბილებით, სულით, ხორცით, ყველაფრით დავიცვათ 1 ოქტომბრის მონაპოვარი!

**„ასავალ-დასავალი“**

### სააკაშვილს უფლებებს დაგეგმილზე მეტად შეუკვეცავენ

პრეზიდენტის უფლებები, შესაძლოა, იმაზე მეტად შემცირდეს, ვიდრე ამას საკონსტიტუციო ცვლილებები ითვალისწინებს, რომლის მიღებასაც პარლამენტი მარტის ბოლომდე გეგმავს. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარემ უკვე გააკეთა განცხადება, რომ პროექტში არასამთავრობოების შენიშვნები გათვალისწინებული იქნება. არასამთავრობოების დიდი ნაწილი კი სწორედ იმას ითხოვს, რომ პრეზიდენტს მისი უფლებამოსილების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში პარლამენტის დათხოვნის საშუალება არ მისცენ.

**„რეზონანსი“**

### რას პასუხობს თენგიზ სიგუა ვალერი ხაბურძანიას?

საქართველოს ორგზის ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას განცხადებას ეხმაურება. მისი აზრით, დღეს საქართველოში პრორუსული ძალის შექმნა წარმოუდგენელია. აქ მისთვის დასაყრდენი ძალიან მცირეა. მე პირადად, ვისაც პრორუსული მიმართულების ადამიანად ვიცნობ, ეს არის ავთო მარგიანი, სხვას არ ვიცნობ. შეიძლება ასეთად ვალერი კვარაცხელიაც ჩავთვალოთ, მაგრამ ის უფრო ნეიტრალიტეტს ემხრობა. ასე რომ, ეს საქმე ჩემთვის წარმოუდგენელია.

**„ქრონიკა“**

### „უგულავას მომავალმა მეუღლემ ვიცე-პოლკოვნიკი ქალი სამსახურიდან მოხსნა“

ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტო, სავიზო და რეგისტრაციის სამსახურის ყოფილი უფროსი მანანა ბარბაქაძე აცხადებს, რომ კანონდარღვევის ფაქტზე პასუხი არა მხოლოდ ქალაქის მერს, მის ცოლს ლელა კილაძესაც უნდა მოეთხოვოს. ბარბაქაძის თქმით, გიგი უგულავას მომავალი ცოლი აიძულებდა, უკანონოდ გაეცა საზღვარგარეთის პასპორტი მისი მეგობრის სახელზე, რომელიც პრეზიდენტის დელეგაციასთან ერთად ლელა კილაძეს უცხოეთში უნდა წაეყვანა. უგულავას ამჟამინდელი მეუღლე მაშინ სააკაშვილის ვიზაჟისტი იყო, თუმცა, როგორც ბარბაქაძე ამბობს, დიდი უფლებებით სარგებლობდა...

**„კვირის პალიტრა“**

### „საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს სააკაშვილიც დაუჭერს“

— მიაჩნია პოლიტოლოგ სანდრო თვალჭრელიძეს, — ბიძინა ივანიშვილმა კარგად თქვა, როდესაც განაცხადა, რომ მისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, კარგი იქნებოდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდნილიყო, რადგან „ნაციონალური მოძრაობისგან“ აღარაფერი აღარ დარჩებოდა, მაგრამ საქართველოს იმიჯისთვის, შიდა სიმშვიდისთვის აუცილებელია საკონსტიტუციო ცვლილებები. მეჩვენება, რომ ამ ცვლილებებს ბატონი სააკაშვილიც დათანხმდება, რადგან მას სხვა გამოსავალი არ აქვს.

**„ახალი თაობა“**

## კადრი



რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები



**შვიდი** მარტის საღამოა. ცოლ-ქმარი საწოლში წვანან.

— საყვარელო, რაღაც არ მეძინება. იქნებ მოვსიყვარულებოდით ერთმანეთს? — ჩურჩულებს ცოლი.

— დაიძინე! საჩუქრის ვადამდე გაკეთება არ ვარგა!

* * *

**გერმანელები** ორი-სამი კათხა ლუდის შემდეგ შენობით მიმართვაზე გადადიან, რუსები — არაყზე.

* * *

**ჩექმებიანი** კატა — ეს ზღაპარია, ფლოსტებიანი კატა კი — რეალობა. მკაცრი, მყრალი რეალობა.

* * *

**თქვენს** ცოლს მაღვიძარას გამუდმებული ზარიც არ აღვიძებს? არა უშავს! უბრალოდ აკოცეთ და ნაზად ჩასჩურჩულეთ: საყვარელო, ადგომის დროა. და დაამატეთ ნებისმიერი სხვა ქალის სახელი!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com